



როგორ შევქმენათ ეკოტურიზტული პროექტი



CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION







პრაქტიკური სახელმძღვანელო

აიაგვის თემთა
ტერიტორიული მომსახურების
მომწოდებლებისთვის

თბილისი
2020

1. სახელმძღვანელოს შექმნის მიზანი.....	5
2. ეკოტურისტული პროდუქტის განვითარება	6
2.1. ეკოტურისტული პროდუქტის შექმნის საფუძვლები და პრინციპები	6
2.2. ეკოტურისტული მომსახურების მომწოდებლები	7
2.2.1. საოჯახო სასტუმრო	8
2.2.2. საკემპინგე ადგილი	23
2.2.3. კვების ობიექტი.....	27
2.2.4. აგროტურისტული მეურნეობა	38
2.2.5. გაქირავების ობიექტი	43
2.2.6. საფეხმავლო გიდი	46
2.3. გარემოს დაბინძურების შემცირების მეთოდები.....	77
2.4. მარკეტინგი და გაყიდვები.....	80
2.4.1. ტურისტული ბაზრის სეგმენტაცია, მიზნობრივი სეგმენტების განსაზღვრა და ბაზრებზე ეკოტურისტული პროდუქტის პოზიციონირება	80
2.4.2. მარკეტინგული კომუნიკაციები	85
2.5. ფასნარმოქმნის პოლიტიკა	87
3. დანართი	90

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადდა საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციის მიერ პხოეცისთვის „აჩაგვის დაცული დანდშაფტის და მიმდებარე თემების მდგადი განვითარება“. აღნიშნული პხოეცტი ხოციედება ოხგანიზაცია “ფიფდ ინ ნიდ“-ის (PIN) ოთხწლიანი პხოგამის „აჩაგვის თემა მდგადი განვითარება“ ფაჩვებში ჩეხეთის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხაჩდაჭეხით.

პხოეცის მიზანია აჩაგვის დაცული დანდშაფტის მიმდებარე თემების სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ტურიზმის და სოფლის მეურნეობის განვითარების ხედშეწყობით. ამასთან სამოქალაქო საზოგადოების განვითარება და ადგილობრივი მოსახლეობის აქტიუჩად ჩაჩთვა აჩაგვის ხეობის განვითარებაში.

1. სახელმძღვანელოს შეჯამის მიზანი

ტურიზმი, ბოლო ათწლეულების მანძილზე, ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ ინდუსტრიას წარმოადგენს მსოფლიოში. განვითარებად ქვეყნებში იგი განიხილება სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის მამოძრავებელ ძალად, რომელიც ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნასა და სწრაფი შემოსავლის მიღებას. ამის მიუხედავად, დარგის სწრაფი ზრდის ტემპი უარყოფით გავლენას ახდენს რეგიონის ბიომრავალფეროვნებაზე, ეკოლოგიურ მდგომარეობასა და მკვიდრ გარემოზე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, აუცილებელია ტურიზმის განვითარება მიმართული იყოს არა მხოლოდ ტურისტული ნაკადის ზრდისკენ, არამედ რეგიონში არსებული ტურისტული რესურსების დაცვასა და შენარჩუნებაზე. მდგრადი ტურიზმის განვითარების მთავარ მიზანს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, ადგილობრივი წეს-ჩვეულებების, ტრადიციებისა და გარემოს ავთენტურობის დაცვა და ამ გზით გრძელვადიანი ეკონომიკური სარგებლის მიღება წარმოადგენდეს.

წინამდებარე პრაქტიკული სახელმძღვანელოს ამოცანაა სწორედ არსებული რესურსების რაციონალური გამოყენებით მდგრადი ეკოტურისტული პროდუქტების განვითარების ხელშეწყობა და ამ გზით თემის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

სახელმძღვანელოს სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს საოჯახო სასტუმროები, საკემპინგე ადგილები, აგროტურისტული მეურნეობები, კვების ობიექტები, ტრადიციული რეწვის ოსტატები, გაქირავების ობიექტები, ადგილობრივი გამყოლები/გიდები, რომელთაც ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით სურთ საკუთარი ბიზნესის გრძელვადიანი სტაბილურობა და ეკონომიკური წინსვლა.



2. ეკოტურისტული პროდუქტის განვითარება

2.1. ეკოტურისტული პროდუქტის შექმნის საფუძვლები და პრინციპები

ეკოტურისტული პროდუქტის განვითარებისას მენარმემ უნდა გაითვალისწინოს დაგეგმვის შემდეგი კომპონენტები:

1. დაგეგმვა უნდა ხორციელდებოდეს ადგილობრივ თემზე დაყრდნობით და ითვალისწინებდეს მისი ეკონომიკური განვითარების დონეს;
2. დაგეგმვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქტის დივერსიფიცირების პოტენციალი;
3. დაგეგმვა მაქსიმალურად უნდა მოიცავდეს ყველა რესურსს და განსაზღვრავდეს მათ ურთიერთდამოკიდებულებას.

ეკოტურისტული პროდუქტის დაგეგმვა მოიცავს შემდეგი საფეხურების თანმიმდევრობას:

1. ეკოტურისტული პროდუქტის მისიისა და მიზნის განსაზღვრა (მაგ. ხარისხიანი და უნიკალური მომსახურების შეთავაზებით მხარჯველუნარიანი სეგმენტს მოზიდვა).
2. პროდუქტის შექმნისთვის საჭირო რესურსების აღწერა და ანალიზი (მაგ. ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული რესურსები, ადამიანური რესურსები, მტერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფინანსური რესურსები. თითოეული რესურსი უნდა შეფასდეს მიმზიდველობის, ხარისხის, ხელმისაწვდომობის მიხედვით).
3. ბაზრის ანალიზი, რაც გულისხმობს ორი ტიპის კვლევას. პირველადი კვლევა - ინფორმაციის მოძიება შესაქმნელი პროდუქტის საჭიროების მიხედვით (სიტუაციური ანალიზი, ეკოტურისტულ ბაზარზე დაკვირვება), ხოლო მეორეული კვლევა გულისხმობს უკვე არსებულ ეკოტურიზმთან დაკავშირებულ კვლევების ანალიზს. აღნიშნული კვლევების მოძიება შესაძლებელია ეროვნულ და რეგიონულ დონეზე დარგობრივი სახელმწიფო უწყებებისგან, პროფესიული ასოციაციებისგან, თვითმმართველი ორგანოებიდან და ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებიდან.

4. პროდუქტისა და ბაზრის შესაბამისობა, რომელიც გულისხმობს ანალოგიური ან მსგავსი ეკოტურისტული პროდუქტების შესწავლას, მათ კლასიფიკაციას ფასითა და ხარისხით. აგრეთვე, შესაქმნელი პროდუქტის აქტუალურობის დადგენას ბაზარზე.
5. ზოგადი სამოქმედო გეგმის შემუშავება, სადაც განერილი იქნება, რა უნდა შეიქმნას, ვინ იქნება შემსრულებელი, რა ელირება და როდის უნდა გაკეთდეს.
6. ეკოტურისტული პროდუქტის განვითარება. ამ ეტაპზე პროდუქტი საბოლოოდ ყალიბდება, სადაც განერილი უნდა იყოს კონკრეტული პროდუქტის ძირითადი და დამატებითი მომსახურებები, განსაზღვრული იყოს ფასი და და რეალიზაციის არხები.
7. მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავების დროს უნდა განისაზღვროს ვინ იძენს შექმნილ პროდუქტს და რა სახით უნდა მივანოდოთ აღნიშნული პროდუქტი სამიზნე ჯგუფს (მაგ. უნდა ვიაქტიუროთ მხოლოდ სოციალურ მედიაში, დავრეგისტრირდეთ ელექტრონული ჯავზნის საიტებზე, თუ მოვიწვიოთ მსხვილი ტუროპერატორები გაცნობით ტურზე სამომავლო თანამშრომლობის მიზნით).
8. ფინანსური გეგმა და პასუხისმგებლობების გადანაწილება. დასადგენია რამდენი ადამიანია ჩართული პროდუქტის შექმნაში და ვინ რა მოვალეობას შეასრულებს. აგრეთვე, დასაზუსტებელია სახელმწიფო და სათემო ორგანიზაციების წინაშე ვალდებულებები (მაგ. საგადასახადო განაკვეთი). პროდუქტის ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ გარემოზე ზემოქმედების დადგენა და მისი დაცვის ვალდებულებების შესრულება (მაგ. საოჯახო სასტუმროს მიერ არაგვის დაცული ლანდშაფტის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება).

2.2. ეკოტურისტული მომსახურების მომწოდებლები

მოცემულ ქვეთავში განხილულია ტურისტული მომსახურების ის კატეგორიები, რომლებიც ტურიზმის ღირებულებათა ჯაჭვის მთავარ შემადგენელ კომპონენტებს წარმოადგენენ. მათი მდგრადი განვითარება ადგილობრივი თემის სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის გარანტია.



2.2.1. საოჯახო სასტუმრო

საოჯახო სასტუმრო არის განთავსების საშუალება ნომრების მცირე რაოდენობითა და შეზღუდული მომსახურებით. საოჯახო სასტუმროში ნომრების მაქსიმალური რაოდენობა ათს არ აღემატება. ჩვეულებრივ 2-3 სტუმრის ოთახს ერთი საერთო სააბაზანო აქვს. კვებითი მომსახურება - საუზმე, ნახევარ პანსიონი და სრული პანსიონი ხელმისაწვდომია შეკვეთის შემთხვევაში. სტუმრებს ემსახურებათ დიასახლისი და მისი ოჯახის წევრები. საჭიროების შემთხვევაში ხდება კადრების დამატება.

საქართველოს რეგიონებში ზოგ შემთხვევაში საოჯახო სასტუმროები ითავსებენ კვების ობიექტის ფუნქციებსაც, კერძოდ უწევენ კვებით მომსახურებას სადილის ან ვახშმის კომპონენტის შეთავაზებით.

საოჯახო სასტუმროს, როგორც თემზე დაფუძნებული ტურისტული პროდუქტის განვითარებისას, მნიშვნელოვანია შენარჩუნებული იყოს ადგილობრივი კულტურული მახასიათებლები, რაც მომხიბვლელს ხდის ტურისტულ შეთავაზებას და პირდაპირ მოქმედებს სტუმრის დარჩენის ხანგრძლივობაზე, გავლენას ახდენს მის განმეორებით ვიზიტსა და რეკომენდაციის გაწევაზე მეგობრებისა თუ ნაცნობებისთვის.

ექსტერიერი და უსაფრთხოება. სასურველია საოჯახო სასტუმროს შენობა წარმოდგენილი იყოს რეგიონისთვის დამახასიათებელი ტრადიციული სტილითა და ელემენტებით (იხ. ფოტო 01, 02.).

გარდა ექსტერიერის მიმზიდველობის, მნიშვნელოვანია ობიექტზე გათვალისწინებული იყოს სტუმრის უსაფრთხოების აუცილებელი მინიმალური ნორმები. კერძოდ, შენობას არ უნდა ჰქონდეს ბზარები, ხოლო არსებობის შემთხვევაში გაანალიზებული უნდა იყოს ბზარიანი კონსტრუქციის მდგომარეობა და რღვევის მექანიზმი, შემუშავდეს ბზარიანი შენობის ხანგამძლეობის გაზრდის გზები, ხოლო ინტერიერში მოხდეს ხილული დეფექტების დაფარვა ხელახალი შეღესვის და შეღებვის გზით.

ისევე როგორც საოჯახო სასტუმროს შენობა, ასევე ეზოში არსებული სხვა დამხმარე ნაგებობები, არ უნდა იყოს გადახურული შიფერით. ეს უკანასკნელი

კარცეროგენია, რომელიც სიმსივნური უჯრედების წარმოქმნას და შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს. აღიშნულდან გამომდინარე, მეპატრონემ დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს მისი გამოყენება არსებობის შემთხვევაში და სხვა ალტერნატიული მასალით მოახდინოს მისი ჩანაცვლება. სასურველია როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, გამოყენებული იყოს ადგილობრივი ტრადიციული გადახურვა როგორც ძირითადი შენობის, ასევე მიმდებარე დამხმარე ნაგებობებისთვის.

უსაფრთხოების კუთხით, სასურველია ასევე შენობას ჰქონდეს ორი გასასვლელი, რათა ადვილად მოხდეს მისი ევაკუაცია. თუმცა ტრადიციულად მთის საცხოვრებელი სახლები სითბოს მაქსიმალურად შენარჩუნების მიზნით მცირე კარ-ფანჯრიანი იყო. ასეთი სახლების საოჯახო სასტუმროებად განვითარების შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნება წინასწარი ზომების მიღება და ქცევის წესების განსაზღვრა ხანძრის პრევენციისთვის. ასევე მნიშვნელოვანია ობიექტისთვის შემუშავებული იქნეს ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა (ცეცხლმაქრი საშუალებები, კვამლის დეტექტორები, ავარიული განათება) საევაკუაციო გეგმით, რათა განსაზღვრული იყოს სად არის ყველაზე დიდი საშიშროება ხანძრის წარმოქმნის და როგორ უნდა მოხდეს მისი სწრაფი აღმოფხვრა.



ფოტო 01. საოჯახო სასტუმრო სოფელ ბიებში, მაჩამუხეს ხეგიონი, ჩხიდილოთი ხუმიანეთი. გადამკვეთი ხუმიანუდი ხის სახლი, ხის გადახუჩვით.



ფოტო 02. საოჯახო სასტუმრო სოფელ ბეზებში. შენახჩუნებული ხის აივანი.

საოჯახო სასტუმროს ეზო. გამწვანებული და მოვლილი ეზო საოჯახო სასტუმროს მიმზიდველობის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია. გამომდინარე იქიდან, რომ ვიზიტორებს მეტი დროის გატარება ახალ გარემოში, სუფთა ჰაერზე ურჩევნიათ, სასურველია ეზოს მოწყობისას გათვალისწინებული იყოს გამწვანება ადგილობრივი ყვავილებითა და ხემცენარეებით, მოსასვენებელი სივრცეები, როგორიც არის ჰამაკები, ხის მაგიდა-სკამები, ბავშვებისთვის ქვიშის სათამაშო მოედნები და სხვ.

სასურველია ჭიშკრიდან შენობამდე მისასვლელი ბილიკი იყოს მოკირწყლული ადგილობრივი ქვით, ხოლო ჭიშკართან ობიექტის მარტივი იდენტიფიცირებისთვის განთავსდეს სახელობითი აბრა. აბრის დიზაინი უმჯობესია იყოს მარტივი, ხის ან რკინის კომბინაციით და ინდივიდუალური ელემენტებით წარმოდგენილი.

საოჯახო სასტუმროს ინტერიერი. ინტერიერის მოწყობისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს შესაბამისობა ექსტერიერის დიზაინთან. კერძოდ, გამოყენებული იქნას რეგიონისთვის დამახასიათებელი ტრადიციული მასალა ან მისი ანალოგი (იხ. ფოტო 03, 04 სტუმრის ოთახების მაგალითები რუმინეთის და საქართველოს საოჯახო სასტუმროებში).

არ არის რეკომენდებული ტრადიციულ საცხოვრებელ სახლში თანამედროვე, შეუსაბამო მასალის გამოყენება ოთახებისა თუ სანიტარული კვანძის მოსაწყობად. მაგალითად შიდა და გარე კარების მონტაჟისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს ტრადიციულად რა ტიპის კარ-ფანჯარის გამოყენება ხდებოდა რეგიონში და შეაბამისად მოხდეს არსებულის აღდგენა ან ანალოგის დაყენება. არასწორი იქნება მეტალოპლასტმასის კარებების დაყენება ხის კარების ნაცვლად; ასევე მოუღებელია ხის ან ქვის იატაკის ლამინატით, ლინელიუმით ან სხვა მსგავსი მასალით ჩანაცვლება.

ამასთან შიდა ინტერიერში სასურველია შენარჩუნებული იქნას ის ელემენტები, რომელიც მიმზიდველობას ჰმატებს შიდა გარემოს. ეს შეიძლება იყოს ბუხარი, ჩაშენებული თაროები, ქალი, ავეჯი და სხვ.



ფოტო 03. საოჯახო სასტუმრო სტუმრის ოთახი ენაგხოვნის ეკოსოფედში კხეგაზე, საბეჩძნეთი;



ფოტო 04. საოჯახო სასტუმრო „მენაბდის მახნის“ სტუმრის ოთახი სოფელ შემოქმედში, გუჩია.

რაც შეეხება სტუმრის ოთახების მოწყობას, გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი საკითხები.

ოთახის მოწყობა

სასურველია საოჯახო სასტუმროში შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული იყოს ოთახების რანჟირება საწოლი ადგილების მიხედვით.

- ერთადგილიანი ოთახის ფართი მინ. 8 კვ.მ უნდა იყოს, ორადგილიანის - მინ. 14 კვ. მ, ხოლო სამადგილიანის - 18 კვ.მ;
- ერთადგილიანი საწოლის ზომა - 80x190 სმ ან 140x190 სმ. ორადგილიანი საწოლის ზომა - 160 ან 180x200 სმ;
- სტუმრის ოთახებს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი შესასვლელები;
- ორადგილიან საწოლთან მოხვედრა ორივე მხრიდან უნდა იყოს შესაძლებელი;
- დაუშვებელია გასაშლელი ტახტის მუდმივ საწოლად გამოყენება;
- თეთრეული უნდა იყოს ღია ფერის და ბამბის. არარეკომენდებულია სინთეტის გამოყენება.

ოთახში უნდა იდგას:

- სათავსო პირადი ნივთების შესანახად
- სკამების საწოლი ადგილების რაოდენობის მიხედვით
- კარადა ან საკიდები (კარადის შემთხვევაში დაცლილი უნდა იყოს ოჯახის პირადი ნივთებისგან)
- მაგიდის სანათი და ქალი
- წყალი და წყლის ჭიქა თითო ადამიანზე
- ბუნებრივი ვენტილაცია (ფანჯარა)

- ინდივიდუალური დიდი და პატარა პირსახოცი თითოეული სტუმრისთვის
- ნაგვის კალათა
- გაუმჭვირვალე კარი საკეტით
- სქელი და თხელი ფარდები
- სტუმრების ოთახებში უნდა არსებობდეს გათბობის საშუალება (18-20 გრადუსი)



მიზანშეწონილია საოჯახო სასტუმროს შიდა სივრცეში არ იყოს ნებადართული თამბაქოს მოხმარება, ხოლო სტუმრის ინფორმირებისთვის ოთახებში განთავსებული იყოს მოწვევის აკრძალვის მანიშნებელი.

სანიტარული კვანძის მოწყობა

სანიტარული კვანძი სასურველია მდებარეობდეს შენობის შიგნით ან კაპიტალური გარეთ, ეზოში. მნიშვნელოვანია სტუმრებისთვის განკუთვნილი სანიტარული კვანძი დამოუკიდებელი იყოს ოჯახის მოხმარებისგან და გათვლილი იყოს მინიმუმ 6 ადამიანზე.

სანიტარულ კვანძს აუცილებელია ჰქონდეს:

- საშხაპე ან აბაზანა;
- პირსაბანი აქსესუარებით (სარკე, თარო, სასაპნე, პირსახოცის საკიდი);
- უნიტაზი აქსესუარებით (ტუალეტის საქაღალდე, უნიტაზის ჯაგრისი);
- გაუმჭვირვალე კარი შიდა საკეტით;
- გამართული ვენტილაცია;
- აეროზოლი (ცუდი სუნის შემაკავებელი);

სასურველია ჰქონდეს:

- დამატებითი განათება პირსაბანის სარკესთან;
- თმის საშრობი;
- თმისა და ტანის დასაბანი საშუალებები.

საოჯახო სასტუმროს მომსახურებების ეტაპები

ჯავშნის მიღება. სტუმრის მომსახურების პროცესი დაჯავშნით იწყება, რაც ოთახის (ადგილების) წინასწარ შეკვეთას გულისხმობს. კარგად აწყობილი ჯავშნის სისტემა მნიშვნელოვანი მარკეტინგული იარაღია საოჯახო სასტუმროსთვის, ვინაიდან იძლევა პროგნოზის საშუალებას მოსალოდნელი გაყიდვების შესახებ. ამასთან უზრუნველყოფს ობიექტის ინფორმაციულ ხელმისაწვდომობას და ამარტივებს მომსახურების შეძენასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას პოტენციური ტურისტისთვის.

სხვადასხვა მიზნობრივ სეგმენტზე გასვლა საოჯახო სასტუმროს შემდეგი არხებით შეუძლია:

- ელექტრონული კომერციული ჯავშნის არხები: Expedia.com, Booking.com, Travelocity.com, Hotels.com, airbnb.com, hotel.ge, lonelyplanet.com, orbitz.com, hotwire.com, agoda.com, priceline.com, morehotels-4less.com, hotelreservation.com.
- საოჯახო სასტუმროს ვებ გვერდი ან გვერდები სოციალურ ქსელებში (facebook.com, Instagram.com, linkedin.com);
- შემომყვანი ტურიზმის ოპერატორები, ადგილზე არსებული საინფორმაციო ცენტრები, ტურისტული კომპანიები ან სხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციები;
- ელ ფოსტა. ამისთვის აუცილებელია სასტუმრომ იზრუნოს მომხმარებელთა ბაზის შექმნაზე, რომლის მეშვეობითაც ექნება უკვე არსებულ მომხმარებელბთან მუდმივი კონტაქტი სხვადასხვა სიახლეების შესათავაზებლად.

განასხვავებენ ჯავშნების ორ კატეგორიას, გარანტირებულ და არაგარანტირებულ ჯავშნებს.

- გარანტირებული რეზერვაციისას, სტუმარი წინასწარ იხდის ნომრის ღირებულების გარკვეულ პროცენტს, ხოლო სასტუმრო თავის მხრივ უნახავს მას ოთახს. გარანტირებული რეზერვაცია გარკვეულწილად იცავს სასტუმროს ე.წ. “no show”-სგან.

- არაგარანტირებული რეზერვაციისას სტუმარი არ იხდის წინასწარ ჯავშნის თანხას ნომრის შენახვისთვის.

რაც შეეხება ჯავშნის გაუქმების სისტემას, სხვადასხვაგვარია და დამოკიდებულია სასტუმროს პოლიტიკაზე. განასხვავებენ 24 საათიანს ან რამოდენიმე დღიანს (3/5/10/4). გაუქმების სისტემის არსებობა ნიშნავს რომ თუ ჯავშანი გარანტირებულია და სტუმარი 24 საათით ადრე არ შეატყობინებს სასტუმროს გაუქმების ან დღის ცვლილების შესახებ გადაიხდის ერთი ღამის, ან მთლიანი ჯავშნის ღირებულებას. ინფორმაცია ჯავშნის გაუქმების პოლიტიკის შესახებ უნდა განთავსდეს სასტუმროს გვერდზე ელექტრონულ სივრცეში, ამასთან უნდა დამატებით ეცნობოს სტუმარს სასტუმროს ჯავშნის ეტაპზე.

დაჯავშნის შემდეგ, შეკვეთის მიღების წერილობითი დასტურით, კიდევ უნდა გადამოწმდეს ფასი და მომსახურების პირობები შემდგომი უზუსტობების თავიდან ასაცილებლად. გარდა იურიდიული მხარისა, აღნიშნული ქმედება გააჩენს ნდობას და პოზიტიურად იმოქმედებს სტუმართან ურთიერთობის პირველივე ეტაპზე.

ოთახის მომზადება და დალაგება. სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა მომსახურების ბიზნესში აუცილებელი წინაპირობაა. ოთახები უნდა დალაგდეს ყოველდღიურად ან სტუმართან შეთანხმებით. ეს უნდა მოხდეს მაშინ, როცა სტუმარი ოთახში არ იმყოფება.

ოთახის ყოველდღიური დალაგება მოიცავს:

- ოთახის იატაკის დასუფთავებას;
- ნომრის განიავებას;
- საწოლების გასწორებას;
- მტვრის გადანმენდას ავეჯზე, მათ შორის უხილავ ადგილებში (მაგალითად კარადის თავზე);
- წყლის ჭიქების გარეცხვას;
- სანიტარული კვანძის დასუფთავებას.

პირსახოცი გამოიცვლება ყოველდღიურად თუ სტუმარი ყოველი მოხმარების შემდეგ იატაკზე დააგდებს მას; მიღებული ფორმაა წერილობითი მოწოდება სააბაზანო ოთახის კედელზე, რომ სტუმარი გაუფრთხილდეს ბუნებრივ რესურსებს და არ დააგდოს იატაკზე პირსახოცი და გამოიყენოს იგი თუნდაც ორი დღის განმავლობაში.

თეთრეულის გამოცვლა უნდა ხდებოდეს ყოველ მესამე დღეს, თუ სტუმრის მხრიდან არ არის რამე განსაკუთრებული მოთხოვნა.

დალაგების გარდა, სტუმრის ოთახში სისტემატიურად უნდა შემოწმდეს:

- განათება: ნათურა, ჩამრთველები. არ უდა იყოს გაფუჭებული, მოშლილი ან გადაწვარი;
- სისტემები: გათბობა, ტელევიზია, ინტერნეტი და მათი დისტანციური მართვის საშუალებები;
- ავეჯი არ უნდა იყოს დაზიანებული.

სტუმრის მიღება და განთავსება. საოჯახო სასტუმროსთვის სტუმრის დახვედრა და დადებითი შთაბეჭდილების გაჩენა პირველივე პირდაპირი კომუნიკაციისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. გარდა გულთბილი დახვედრისა, მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს მასპინძლის გარეგნულ იერსახეს, ჩაცმულობასა და ვარცხნილობას. მაგალითად, თუ საოჯახო სასტუმროს დიასახლისი ბოსტანში ან ბაღში მუშაობს, მას ყოველთვის ახლოს უნდა ჰქონდეს სუფთა, გამოსაცვლელი პერანგი და ამასთან ხელის დაბანის საშუალება, რათა სტუმრის მოსვლისას მარტივად შეძლოს მოწესრიგებული დახვედრა.

რაც შეეხება სტუმრის მიღება-გაწერის დროებს, ყველა სასტუმრო ინდივიდუალურად განსაზღვრავს. მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ოთახში სტუმრის შესვლა ხდება 12:00, 13:00 საათის შემდეგ, ხოლო გამოსვლა 11:00 საათამდე.

სტუმრის რეგისტრაცია ხდება ე.წ. რეგისტრაციის ბარათის მეშვეობით, რომელიც ივსება სტუმრის მიერ სარეგისტრაციო დროს (იხ. დანართი 01). ერთ ოთახზე ივსება მხოლოდ ერთი სარეგისტრაციო ბარათი, ხოლო

რეგისტრაციის ფურცელთან ერთად აუცილებლად უნდა მოხდეს პირადობის დამადასტურებელი საბუთის (პასპორტის, პირადობის მოწმობის) ასლის დართვა.

სტუმრის მიღების და რეგისტრაციის შემდეგ მნიშვნელოვანია მოხდეს გაცნობა საოჯახო სასტუმროს ქცევის წესების შესახებ როგორც სიტყვიერად, ასევე წერილობითი ფორმით, რათა თავიდან იქნეს არიდებულ შესაძლო გაურკვევლობები ნივთის დაზიანების, ხმაურის ან სხვა შემთხვევების არსებობისას (იხ. ნიმუში საოჯახო სასტუმროს ქცევის წესები დანართი 02).

გამომდინარე იქიდან, რომ საოჯახო სასტუმროს მართვის პროცესში ჩართულია ოჯახის ყველა წევრი, ისინი ვალდებული არიან დამსვენებლებისთვის სასიამოვნო და საინტერესო გარემო შექმნან, იზრუნონ მათ უსაფრთხოებასა და ხარისხიან მომსახურებაზე.

გახსოვდეთ, რომ ყოველთვის დადებითად მოქმედებს სასტუმროში შესვლისას უფასოდ გამაგრებელი სასმელის შეთავაზება ზაფხულის ცხელ დღეს, ან ზამთარში - ცხელი სასმელი გასათბობად.

სასტუმროში რეგისტრაციის შემდეგ მნიშვნელოვანია მოხდეს სტუმრის გადამისამართება ოთახში და გაცნობა დროებითი საცხოვრებელი სივრცის. კერძოდ, ინფორმაციის მიწოდება სასმელი წყლის, ტექნიკის მოხმარების და შესაძლო დამატებითი მომსახურებების შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია მოხდეს გარკვევა კვებითი მომსახურების შემთხვევაში სტუმრის კვების თავისებურებებზე, რა მოსწონს ან რა არ მოსწონს, არის თუ არა ალერგიული გარკვეული კვების პროდუქტების მიმართ, რათა შესაბამისად მოხდეს კვებითი მომსახურების შეთავაზება.



გახსოვდეთ

პატივი უნდა სცეთ სტუმრის პირად სივრცეს. არ შეაწუხოთ ოთახში ყოფნისას, ეზოში დასვენებისას ან ქამისას თუ თვითონ არ გამოხატა ამის ინიციატივა.

განსაკუთრებით ყურადსაღებია და სწორ კომუნიკაციას საჭიროებს სტუმართა უკმაყოფილების გამომწვევი მიზეზების ცოდნა და საოჯახო სასტუმროს პოლიტიკა ამ საკითხთან მიმართებაში.

სტუმრის მხრიდან მომსახურების პრობლემებთან დაკავშირებული თითქმის ყველა საჩივარი რამდენიმე კატეგორიად შეიძლება დაიყოს:

1. არასარწმუნო და არაზუსტი ინფორმაცია სასტუმრო მომსახურების შესახებ. ზოგიერთი საოჯახო სასტუმროს მეპატრონე არაკეთილსინდისიერია ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით. სტუმრებს შეგნებულად უმაღავს არსებულ ნაკლოვანებებს, რომლებმაც შესაძლოა უარყოფი გავლენა იქონიოს მომსახურების ხარისხზე.
2. სტუმრების დაგვიანებული ინფორმირება მომსახურებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. იმ შემთხვევაში თუ ცვლილება გამოიწვევს მომსახურების ხარისხის დაქვეითებას, საოჯახო სასტუმრომ ან ტურისტულმა სააგენტომ უნდა აუწახმადონ მომხმარებელს ფასთა სხვაობა.
3. ტურისტული კომპანიის მიერ მიწოდებული და მომხმარებელთა მიერ რეალურად მიღებული მომსახურების ხარისხისა და ასორტიმენტის შეუსაბამობა. ამ კატეგორიის საჩივრებიდან ყველაზე ხშირია, მაგალითად, სტუმრის განთავსება დაბალი კატეგორიის ან ნაკლებად კომფორტულ სასტუმროში, ვიდრე შეთანხმებით იყო გათვალისწინებული.

მსოფლიო პრაქტიკაში სტუმრის კეთილგანწყობის დაბრუნების რამოდენიმე გზა არსებობს:

1. მოუსმინეთ სტუმარს და არ ეკამათოთ! გახსოვდეთ სტუმარს ყოველთვის აქვს საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება.
2. გამოხატეთ მზაობა და სურვილი დახმარების. არ მისცეთ ფუჭი დაპირებები. თუ პრობლემის მოგვარება არ შეგიძლიათ, დროულად აცნობეთ მას ამის შესახებ.

ზოგადად ბოდიშის მოხდასთან ერთად სტუმარზე დადებითად მოქმედებს კომპენსაციები, რომლის მასშტაბსაც სასტუმრო განსაზღვრავს დაშვებული შეცდომის გათვალისწინებით. ეს შეიძლება იყოს ფასდაკლება სასტუმროს ნომერზე, ან დამატებითი ღამისთევა უფასოდ, უფასო დესერტი ან სასმელი და ა.შ.

კვებითი მომსახურება. კვებითი მომსახურება საოჯახო სასტუმროს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. აღნიშნული მომსახურების განვეისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ადგილობრივ, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს. სასურველია, საოჯახო სასტუმროს თავად გააჩნდეს მცირე აგრომეურნეობა, რათა მომხმარებელს სთავაზობდეს საკუთარ მეურნეობაში მოყვანილ პროდუქტს, ან თანამშრომლობდეს ადგილობრივ აგრომეურნეობების მფლობელებთან და ამ გზით აძლიერებდეს თემს. თავის მხრივ, აგრომეურნეობის მეპატრონენი ორიენტირებული უნდა იყვნენ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაზე და მინიმალურად იყენებდნენ პროდუქტის წარმოებისას სხვადასხვა სახის შხამქიმიკატს.

ეკოტურისტული პრინციპებიდან გამომდინარე არ არის სასურველი ტურისტებისთვის სასმელი წყლის პოლიეთილენის ბოთლით შეთავაზება, რადგან მის შეფუთვაში, წარმოებასა და ტრანსპორტირებაში მნიშვნელოვანი რესურსები იხარჯება. მსოფლიოს ბევრ განთავსებისა და კვების ობიექტებზე, რომელთაც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა აქვთ, უკვე ამოიღეს მენიუდან ბოთლით სასმელი წყალი სწორედ აღნიშნული მოტივაციით.

კვებითი მომსახურების განვეისას გასათვალისწინებელია სხვა სახის ნიუანსებიც, კერძოდ:

- სტუმრებისთვის შეთავაზებული საკვები არ უნდა იყოს დამზადებული გადაშენების პირას მყოფი ცხოველებისგან;
- საკვები პროდუქტები, განსაკუთრებით ხილი, უნდა იყოს მხოლოდ იმ რეგიონისა და სეზონისთვის დამახასიათებელი, რომელიც შეესაბამება ობიექტის რეგიონს;

- სტუმრებისთვის შეთავაზებული ღვინო უნდა იყოს ყოველგვარი დანამატების გარეშე.

სასტუმრო ინდუსტრიის კვების სახეობებია: განთავსება და საუზმე (B & B), ნახევრად პანსიონი (HB ორჯერადი კვება), სრული პანსიონი (FB - სამჯერადი კვება).

საუზმის სპეციფიკა. საოჯახო სასტუმროში, სასტუმროებისგან განსხვავებით, საუზმის დროის განსაზღვრა შესაძლებელია ტურისტების ინდივიდუალური მოთხოვნიდან გამომდინარე, რაც ტურისტისთვის დამატებითი კომფორტია.

საოჯახო სასტუმროს კვებითი მომსახურება მთლიანად უნდა ეყრდნობოდეს ადგილობრივ ტრადიციასა და პროდუქციას. მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილია, საოჯახო სასტუმროს მეპატრონეს ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდეს მსოფლიოში მიღებული საუზმის ტიპების შესახებ.



კონტინენტური საუზმე:

ჩაი/ყავა+პური+კარაქი+ფუნთუშეული

ინგლისური საუზმე:

ჩაი/ყავა/რძე+ნატურალური წვენი+პური+ფაფა+ყველი+კვერცხი
+ლორი/ძეხვი/ სოსისი+ხილი

ამერიკული საუზმე:

ჩაი/ყავა/რძე/ნატურალური წვენი
+პური+ფაფა+კვერცხი+ჯემი+თაფლი+ მურაბა+ხილი

საუზმის მენიუ

საოჯახო სასტუმროში საუზმეზე შესაძლოა შეთავაზებულ იქნას:

- რძის პროდუქტები: მაწონი ან ნადული, ყველი, კარაქი
- კვერცხი (მოხარშული/შემწვარი/ომლეტი)

- ხაჭაპური, კეცეული (ყველის/მხლის/კარტოფილის)
- პური
- მურაბა/თაფლი/ჯემი
- ყავა და ადგილობრივი მცენარეული ჩაი (დეკის/მაყვლის, მოცვის ფოთლების/პიტნის და სხვ.)
- რძე, წყალი
- სეზონური ხილის წვენები

სადილის მენიუ. უცხოელი ტურისტები ხშირად მიემგზავრებიან ლაშქრობებში და ესაჭიროებათ საგზალი (ე.წ. „ლანჩ -ბოქსი“). „ლანჩ-ბოქსის“ პროდუქტის ჩამონათვალში შეიძლება შევიდეს მხოლოდ არამალფუჭებადი პროდუქტები: პური, მოხარშული კვერცხი, კიტრი, პომიდორი, ყველი, ხილი, ჩირები, ნიგოზი, ქიშმიში და ა.შ. პროდუქტი უნდა შეიფუთოს მრავალჯერადი გამოყენების პლასტმასის თავსახურიან ყუთში.

თუ სტუმარი სადილად სახლში რჩება მენიუს შედგენისას აქცენტი უნდა გაკეთდეს ქართულ კერძებზე. სასურველია უპირატესობა მიენიჭოს იმ მხარის სამზარეულოს, სადაც ტურისტი იმყოფება. თუმცა, თუ სტუმარი ობიექტზე დიდხანს რჩება (მაგ. 7-10 დღე), რეკომენდებულია რეგიონალური კერძების გარდა ქართული სამზარეულოს სხვა კერძების შეთავაზებაც.

სადილის მენიუ უნდა შედგებოდეს **1) ცივი საუზმეულისგან, 2) პირველი თავი კერძისა და 3) ძირითადი კერძისგან.** ცივი საუზმეულია, მაგალითად სალათები, ნიგვზიანები. პირველ თავ კერძებად შესაძლოა განვიხილოთ ადგილობრივი სამზარეულოდან ხავინი, ატრია, ქაღები (ხორციანი, ხაჭოიანი), კეცეულები (ხორცის, ღანძილის გულსართით), ხაჭოერბო, მხლოვანა, წვნიანები (ბოსტნეულის, ხორცის, სოკოს) და სხვ. ძირითადი კერძებად - ხინკალი, ყაურმა, თევზის ან ხორცის კერძები გარნირით, ლობიოს შეჭამანდი და სხვ. ასევე საჭიროა **4) პური და 5) წყალი, კომპოტი.**

გასათვალისწინებელია, რომ თითოეული კომპონენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ერთი კერძით და ამავედროულად მათი მონაცვლეობა სასურველია ხდებოდეს ყოველდღიურად, რათა მენიუ არ იყოს ერთფეროვანი სტუმრის რამოდენიმედღიანი ვიზიტის შემთხვევაში.

რაც შეეხება ვახშმის მენიუს, სადილის მენიუსგან განსხვავებით, ემატება დესერტი. კერძოდ, შედგება: ცივი საუზმეულისგან, ცხელი საუზმეულისგან, ძირითადი კერძისგან და დესერტისგან. ვახშმის დროს, სასურველია, შეთავაზებული იყოს ასევე ადგილობრივი ალკოჰოლური სასმელი ერთი ჭიქა, ხოლო დამატებით მოთხოვნის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ცალკე ღირებულება.

**პროდუქტი უნდა იყოს
კარგად გარეცხილი და სწორად
მომზადებული. გაითვალისწინეთ:
ცხარე სანელებლები
მიართვით ცალკე.**

სასურველია კვებითი მომსახურების განწესას აქცენტი გაკეთდეს ადგილობრივი ტრადიციული ჭურჭლით თუნდაც მხოლოდ ძირითადი კერძების მიწოდებაზე, ან ადგილობრივი ალკოჰოლური სასმელის ტრადიციული სასმისით დაგემოვნებაზე.

სხვა დამატებითი მომსახურებების განწესა. დამატებით მომსახურებად სტუმარს საოჯახო სასტუმროს მეპატრონემ შეიძლება შესთავაზოს სხვადასხვა სახის საფეხმავლო თუ კომბინირებული ტურები, ტრანსპორტირება, ცხენებისა და ველოსიპედების გაქირავება, შემგროვებლობა (კენკრის, სამკურნალო მცენარეების) და სხვ. დამატებითი მომსახურებების შეთავაზება განაპირობებს სტუმართა კმაყოფილების ზრდას და ამასთან ხელს უწყობს შემოსავლების დივერსიფიცირებას განთავსების ობიექტისთვის.

ტურების შეთავაზებისას მნიშვნელოვანია არეალის კარგი მცოდნე გიდის/გამყოლის არსებობა, რომელიც ერთის მხრივ უზრუნველყოფს ტურისტთა უსაფრთხო გადაადგილებას, ხოლო მეორეს მხრივ შეიძლება ინფორმაციის სწორად და საინტერესოდ მიწოდებას. თუ აღნიშნული მომსახურების შესათავაზებლად დამატებითი ადამიანური ან მატერიალური რესურსი (სატრანსპორტო საშუალება) ობიექტს არ გააჩნია, სასურველია თანამშრომლობა ადგილობრივებთან.

მატერიალურ ღირსშესანიშნაობებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი და საინტერესოა არამატერიალური კულტურის გაცნობა ვიზიტორებისთვის. ადგილობრივი ადათ-წესები, ცეკვა, სიმღერა, დღესასწაულის აღნიშვნის

ფორმები თუ სხვა რიტუალები საინტერესო ტურისტულ შეთავაზებად შესაძლოა ვაქციოთ. რელიგიური დღესასწაულების აღსანიშნავად ყოველთვის განსაკუთრებული სამზადისია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში; არსებობს მთელი რიგი ტრადიციები, მაგალითად აღდგომას კვერცხების შეღებვა, ახალ წელს მეკვლეობის ტრადიცია და სხვ. გარდა რელიგიური თუ ხალხური დღესასწაულებისა, შესაძლებელია ყოველდღიური აქტივობების ფორმირება, მაგალითად ტრადიციული ცეკვის და სიმღერის სადამოების შეთავაზება, ბავშვებისთვის ტრადიციული თამაშების ჩვენება, ზღაპრების მოყოლა და ამ გზით ადგილობრივი ყოფის უკეთ გაცნობა.

საბოლოო ანგარიშსწორება. სტუმრის გაწერა მოიცავს შემდეგ საფეხურებს: ანგარიშსწორებასა და ოთახის გასაღების დაბრუნებას. აუცილებელია სტუმრის რეგისტრაციის დროს გაარკვიოთ რომელი მეთოდით აპირებს ის თანხის გადახდას. საკრედიტო ბარათი, თანხის გადარიცხვა ინვოისის საფუძველზე თუ ნაღდი ანგარიშსწორება.

სტუმრის სასტუმროდან გაწერის დროს ჰკითხეთ კმაყოფილი თუ დარჩა იგი სტუმრობით. ჩაინიშნეთ ყველა კომენტარი და რჩევა, რომელსაც სტუმარი მოგცემთ. დამშვიდობებისას უსურვეთ სტუმარს უსაფრთხო მგზავრობა და გამოხატეთ მზადყოფნა მისი ხელახალი მასპინძლობისთვის. ასევე სთხოვეთ შეაფასოს თქვენი სასტუმრო და დატოვოს კომენტარი სასტუმროს სოციალურ გვერდზე (Facebook.com, Instagram.com) ან კომერციულ პლატფორმაზე, რომლითაც განახორციელა ჯავშანი.



2.2.2. საკემპინგე ადგილი

საკემპინგე ადგილი ნიშნავს კარგად დაგეგმარებულ ტერიტორიას, სადაც ვიზიტორს შეუძლია კარვის გაშლა და ღამისთევა შეზღუდული მომსახურებების პირობებში.

საკემპინგე ადგილის მოწყობისას გასათვალისწინებელია შემდეგი კომპონენტები: ადგილის სწორედ შერჩევა, კერძოდ, უსაფრთხო სივრცე ცხოველებისგან, ბუნების სტიქიური მოვლენებისგან თავდასაცავად და ხმაურისგან მოშორებით.

საკემპინგე ადგილის მოწყობისას მნიშვნელოვანია, რომ შეირჩეს შეძლებისდაგვარად ვაკე ზედაპირის მქონე ტერიტორია, რომელზეც არ იქნება დახრილი ფერდობები და რელიეფის დანაწევრებული ზედაპირი. ვაკე ზედაპირის შერჩევის შემთხვევაშიც გასათვალისწინებელია, რომ ნიადაგი არ იყოს გაჟღენთილი წყლით და არ იყოს ზედმეტად ტენიანი. გასათვალისწინებელია, რომ ტერიტორია დაცული იყოს ქარის გაბატონებული მიმართულებით რაიმე სახის ბუნებრივი ქარსაცავის საშუალებით. საკემპინგე ადგილის შერჩევისას სასურველია ტერიტორია ტყის სიახლოვეს მდებარეობდეს, მოშორებით ღია წყალსატევისგან, რათა თავიდან იქნას აცილებული მწერების სიმრავლე. მთიან ადგილებში საბანაკე ადგილი დაცული უნდა იყოს ისეთი ბუნებრივი მოვლენებისაგან როგორებიცაა: ქვათა ცვენა, ზვავი, მეწყერი, ღვარცოფი, წყალმოვარდნა. საკემპინგე ადგილის შერჩევის შემდეგ აუცილებელია ტერიტორია გაიწმინდოს ქვებისაგან, ტოტებისგან და სხვა სახის მყარი მასალისაგან.

ადმინისტრაციული შენობა. შენობა სასურველია იყოს მარტივი კონსტრუქციის და პრაქტიკული დანიშნულების. ამასთან, შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულ იქნას ტრადიციული არქიტექტურა და არ იყოს ამოვარდნილი მიმდებარე ბუნებრივი ლანდშაფტიდან. მნიშვნელოვანია, რომ იგი მდებარეობდეს საკემპინგე ადგილის ტერიტორიაზე ან მის სიახლოვეს, რათა საკემპინგე ადგილის ზედამხედველი იოლად ხელმისაწვდომი იყოს სტუმრებისთვის.

ელექტროენერგიის წყარო და წყალმომარაგება. საკემპინგე ადგილის მოწყობისას აუცილებელი წინაპირობაა სასმელი და ტექნიკური წყლის არსებობა. შესაბამისად ადგილის შერჩევისას გასათვალისწინებელია რამდენად ახლოს არის ტერიტორიასთან წყალი, რათა წყლის ინფრასტრუქტურის მოწყობისას მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ფინანსური დანახარჯები. ელექტროენერგია საკემპინგე ადგილას სასურველია უზრუნველყოფილი იყოს ენერგიის ალტერნატიული წყაროებით, როგორიც არის მზის პანელები, ქარის მცირე გენერატორები და სხვ. აღნიშნულის გათვალისწინება ერთი მხრივ დაგიზოგავთ ფინანსურ დანახარჯებს, ხოლო მეორე მხრივ განაპირობებს გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას.

საკარვე ადგილები ნუმერაციით და კარვები. საკემპინგე ტერიტორიაზე, სადაც ღამის თევა გათვალისწინებულია კარვებში, სასურველია საკარვე ადგილები იყოს გამოყოფილი რაიმე ფორმით მიმდებარე კარვისგან და თითოეული კარვის არეალი იყოს დანომრილი. რაც შეეხება თავად კარვებს ისინი ატმოსფერული ნალექებისგან დაცული უნდა იყოს ტენტის საშუალებით. კარგად უნდა „სუნთქავდეს“ და ჰქონდეს ქარდამცავი თვისებებიც. სასურველია, რომ კარავის ზედაპირი დამუშავებული იყოს წყლისამრიდი ფენით. კარვის რკალები სასურველია დამზადებულ იყოს ალუმინის შენადნობებისგან. საკემპინგე ადგილის სეზონურობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია კარვების სეზონურობის გათვალისწინებაც. პერიოდიდან გამომდინარე კარვები შეიძლება იყოს გათვლილი ოთხ სეზონზე, სამ სეზონზე, ან მხოლოდ წელიწადის თბილ პერიოდზე. კარვების შემთხვევაში ასევე გასათვალისწინებელია თუ რა რაოდენობის ატმოსფერულ ნალექს უძლებს კარვის ტენტი მმ-ში.

ქვეშაგები. საკემპინგე ადგილას თითოეულ სტუმარს უნდა ჰქონდეს საძილე ტომრის ქვეშ დასაგები ქვეშაგები ე.წ. პარალონი. ქვეშაგების მრავალი მოდიფიკაცია არსებობს, მთავარი კრიტერიუმი მისი ელასტიურობა, სხეულის ნესტისა და სიცივისგან დაცვაა. მნიშვნელოვანია, რომ მისი ზედაპირი იოლად არ ზიანდებოდეს. ქვეშაგებად შესაძლებელია გასაბერი ვერსიების გამოყენებაც, რაც ზემოთ აღწერილ ვარიანტთან შედარებით სტუმრის კიდევ უფრო კომფორტულ ძილს უზრუნველყოფს.

საძილე ტომრები. საძილე ტომარა ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია კომფორტული ძილისთვის. მნიშვნელოვანია იგი იყოს მაღალი ხარისხის. გასათვალისწინებელია საძილე ტომრის კომფორტის ტემპერატურა (საშუალო აგებულების ქალის კომფორტის ტემპერატურა + 22-დან° + 4°-მდეა, მამაკაცისთვის + 22° დან -1° მდე) და სეზონურობა. მნიშვნელოვანია, თუ რა მასალის შიგთავსი აქვს საძილე ტომარას და რამდენად ჰაერგამტარია მისი ზედაპირი.

საერთო სამზარეულო. საერთო სამზარეულო სასურველია მდებარეობდეს მთავარ შენობაში. აღჭურვილი უნდა იყოს ტექნიკით, ჭურჭლით, სადაც სტუმრებს დამოუკიდებლად შეეძლებათ კერძის მომზადება, ჭურჭლის

გარეცხვა თუ სხვ. ამასთან გასათვალისწინებელია კვების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა (მაგიდების, სკამების განთავსება) ამინდის და მომხმარებლის არჩევანის გათვალისწინებით.

სუფთა და კეთილმოწყობილი სანიტარული კვანძები. საკემპინგე ადგილების უმრავლესობა მდებარეობს ისეთ ტერიტორიაზე, სადაც არ არის ცენტრალიზებული საკანალიზაციო სისტემა. შესაბამისად სანიტარული კვანძების მოწყობა რეკომენდებულია იქ სადაც გრუნტის წყლები ღრმად არის განლაგებული მიწის ქვეშ. ამასთან ობიექტი დაშორებული უნდა იყოს ღია წყალსატევიდან და არ უნდა მდებარეობდეს ჩადაბლებულ ადგილას. ასევე, გასათვალისწინებელია ადგილობრივი ქარების მიმართულება დისკომფორტის თავიდან ასაცილებლად.

აკრძალულია გამოყენებული ნარჩენების დაწვა ან/და მიწაში ჩაფვლა. ყველაფერი ტრანსპორტირებული უნდა იყოს სანაგვე ურნამდე.

ბავშვებისთვის გასართობი ტერიტორია. სივრცე, რომელიც სასურველია წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა ტიპის ატრაქციებით (მაგ ქვიშის მოედნები, თოკების პარკი და სხვ). რაც ოჯახებით მოგაზური სეგმენტისთვის მნიშვნელოვან შეთავაზებას წარმოადგენს.

მრავალჯერადი გამოყენების ჭურჭელი. საკემპინგე ადგილზე კვების ორგანიზებისას არარეკომენდებულია ერთჯერადი ჭურჭლის გამოყენება. უკეთესია თუ ვისარგებლებთ სხვადასხვა ფერის პლასტმასის მრავალჯერადი ჭურჭლით, რომელიც წარმოდგენილია იქნება სხვადასხვა ტიპის თეფშით, ჭიქით, კოვზითა და დანა-ჩანგლით. შესაძლებელია ინვენტარის ნაწილში გამოყენებულ იქნას ხის მასალაც. აღნიშნული ტიპის ინვენტარის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ნაკლებად ზიანდება, იოლად ირეცხება, არის მსუბუქი და ნაკლები ზიანი აქვს გარემოსთვის.

გაითვალისწინეთ, **ცეცხლის დასანთები ადგილის (საცეცხლურების) მოწყობა** საკემპინგე და საპიკნიკე არეალებში (განსაკუთრებით ტყის ტერიტორიაზე ან მის სიახლოვეს) თანამედროვე ეკოტურისტული სტანდარტებიდან და საქართველოში არსებული ტყის რესურსებიდან გამომდინარე არ არის რეკომენდებული! ეკოტურისტული სტანდარტების მიხედვით ბუნებაში მოგზაურობისას აკრძალულია ცეცხლის დანთება, რაც

განპირობებულია უსაფრთხოების და ეკოსისტემაში ზედმეტად ჩარევის პრევენციის მიზნით. ამასთან საქართველოში არსებული ტყის გამოყენება გათვალისწინებულია მხოლოდ სოციალური კუთხით და ბიზნესის ნაწილში მათი გამოყენება დაუშვებელია.

საკემპინგე ადგილზე, ისევე როგორც ნებისმიერ ტურისტულ ობიექტზე, გასათვალისწინებელია ვიზიტორთა უსაფრთხოებისთვის შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- პირველადი სამედიცინო დახმარების ინვენტარი გარემოს სპეციფიკის გათვალისწინებით;
- ჟილეტი, თუ საკარვე ადგილი ახლოს არის მდინარესთან.

საკემპინგე ადგილზე დამატებით შეთავაზებად შესაძლოა განიხილებოდეს გამყოლობა საფეხმავლო მარშრუტებზე, ველო გაქირავება (ველოსიპედები, სათვალეები, ჩაფხუტები), ღონისძიებების და ფესტივალების ორგანიზება და სხვ.



2.2.3. კვების ობიექტი

საზოგადოებრივ კვების ობიექტებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ტურიზმის ღირებულებათა ჯაჭვში, ვინაიდან კვებით მომსახურებას სთავაზობენ როგორც უცხოელ, ასევე შიდა ტურისტებს და ამასთან გართობისა და ადგილობრივი კულტურის შემეცნების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენენ.

ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართული ნებისმიერი კატეგორიის კვების ობიექტი უნდა ზრუნავდეს სტანდარტების დაცვით, ადგილობრივი, ჯანსაღი პროდუქტისგან წარმოებული ასორტიმენტის შეთავაზებაზე, რომელიც მორგებული იქნება მიზნობრივი სეგმენტის მოთხოვნებსა და სურვილებს.

კვების ობიექტის წარმატებული ფუნქციონირება მრავალ ნიუანსთანაა დაკავშირებული, შესაბამისად კომპლექსურია ის საკითხები და გამოწვევები, რომელიც ამ მიმართულებით არსებობს. კონკრეტულ ლოკაციაზე

მდებარე კვების ობიექტის საქმიანობაზე მოქმედებს ის გარემო, კულ-ტურული ლანდშაფტი და ტრადიციები, სადაც იგი ეწევა საქმიანობას. აღნიშნული მიმართულება გულისხმობს რესტორნის მხრიდან ისეთი მახასიათებლების გათვალისწინებას და თავის სასიკეთოდ გამოყენებას, როგორცაა: ადგილობრივი თემისათვის დამახასიათებელი კერძები, ნატურალური პროდუქტის მომწოდებლების ჩართვა წარმოების პროცესში, თემის ფსიქოგრაფიული მახასიათებლების გადმოცემა ექსტერიერსა და ინტერიერში, სივრცის მოწყობისას ადგილობრივი, ავთენტური არქიტექ-ტურული ელემენტების გათვალისწინება და სხვა.

ობიექტის წარმატებული ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია ეფექ-ტიანი დაგეგმვის, ორგანიზების, შეფასებისა და კონტროლის მექანიზმების შემუშავება, რომელზეც პასუხისმგებლობას ორგანიზაციულ სტრუქტურაში ორი მთავარი კადრი იწარმოებს: მენეჯერი (ან იგივე ადმინისტრატორი) და შეფმზარეული (იხ. დიაგრამა 01).

მენეჯერის ძირითადი ფუნქცია-მოვალეობებია: პროდუქტის და მომსა-ხურების ხარისხის კონტროლი, ზრუნვა თანაშრომლების განვითარებაზე, მოტივაციის ეფექტიანი სისტემის შემუშავება და დანერგვა, ლოიალური მომხმარებლების მოზიდვა.

დაგეგმვა - მიზნების განსაზღვრა, არსებული მდგომარეობის შეფასება და სამოქმედო გეგმის შემუშავება დასახული მიზნე-ბის მისაღწევად.

ორგანიზაცია - მოქნილი სისტემისა და სტრუქტურის შემუშა-ვება, რესურსების განაწილება მიზნების მისაღწევად.

მოტივაცია - მოტივაციის სისტემის დანერგვა შრომის ნაყო-ფიერების გასაზრდელად და კარგი პიროვნებათშორისი ურ-თიერთობების განსავითარებლად.

კონტროლი - შესრულების სისწორის შემოწმება და კორექტი-ვების შეტანა საჭიროებისამებრ, პროცესების მართებულად წარმართვის მიზნით.

დიაგრამა 01. ეფექტიანი მართვის საფეხურები

რაც შეეხება შეფმზარეულის კომპეტენციას, თითქმის სრულად ვრცელდება წარმოებისა და მომსახურების პროცესის ყველა კომპონენტზე. მის კონტროლს ექვემდებარება პროდუქტის მოწოდების ხაზი, შენახვის სტანდარტების გათვალისწინება, ვადის შემოწმება და სურსათის უვნებლობის საკითხების კონტროლი. ამასთან, კონკრეტული კერძის დანახარჯების განსაზღვრა და ფასნამატი, წარმოდგენილი კერძების ასორტიმენტი, გემოვნური და ხარისხობრივი მაჩვენებლების დაკმაყოფილება, სტრესულ სიტუაციებში მუშაობისა და მაღალი დატვირთვის პირობებში საქმისთვის თავის გართმევა, სხვადასხვა ტემპერატურის პირობებში პროდუქტიული მუშაობა, რაც რეალურად მისგან, როგორც ხელმძღვანელისგან, მაღალ სამუშაო ეთიკას და სხვადასხვა უნარჩვევების ნაკრებს მოითხოვს. შიდა ორგანიზაციულ სტრუქტურაში შეფმზარეულს ექვემდებარება ცივი და ცხელი კერძების, საკონდიტრო ნაწარმის, სასმელების, კვების პროდუქტის მომარაგებისა და დასუფთავების განყოფილებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია შეფმზარეულის პოზიციაზე გამოცდილი კადრის დანიშვნა, რადგან მისი ცოდნა, უნარი და პასუხისმგებლობა ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს წარმოდგენილ სერვისზე, კერძის გემოვნურ მახასიათებლებზე, მენიუს მრავალფეროვნებასა და ხარისხზე.

სურსათის უვნებლობა. მრავალფეროვან სეგმენტთან მუშაობის პარალელურად (სხვადასხვა ასაკობრივი სეგმენტი, ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფები, ვეგეტარიანელები/ვეგანები, ორსულები), არსებობს საფრთხეები მოწამვლის და ალერგიული ფონის გამწვავების, რაც კვების ობიექტის პასუხისმგებლობას კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის. სურსათით მოწამვლის და სხვა რისკების პრევენციის მიზნით, კვების ობიექტმა უნდა მოახდინოს შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- სურსათის მომზადების პროცესში წესების დაცვა;
- თანამშრომლების ინფორმაციული უზრუნველყოფა წარმოების პროცესში უსაფრთხოების ნორმების დაცვის აუცილებლობასთან დაკავშირებით;
- ეფექტური დასუფთავების მეთოდების დანერგვა და განხორციელება;

- ჰიგიენის წესების დაცვა;
- სისტემატიური კონტროლი სურსათის და პროდუქტის მოწოდების ხაზის, შენახვის პირობების, აღჭურვილობის გამართულობისა და უსაფრთხოების ნორმების;
- ჯვარედინი დაბინძურების თავიდან აცილება.

ზოგადად განიხილება სურსათის ოთხი ტიპის საფრთხე: ბიოლოგიური, ქიმიური, ფიზიკური და ალერგენები. ნებისმიერი საფრთხე გასათვალისწინებელია, ვინაიდან ზიანს აყენებს მომხმარებელს და ამავდროულად აისახება კვების ობიექტის რეპუტაციაზე. მინიმალური სტანდარტების დაცვა ბიოლოგიური დაბინძურების პრევენციისთვის დაკავშირებულია შემდეგი გარემო პირობების გათვალისწინებასთან: ტემპერატურული რეჟიმი, ტენიანობის დონე, შენახვის პირობები, პროდუქტის სახეები, PH-ის დონე, შენახვის ხანგრძლივობა და ჟანგბადის არსებობა/არ არსებობა.

პროდუქტის გარკვეული სახეები გულისხმობს იმ რესურსებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას, რომლებსაც მალფუჭებადობა ახასიათებთ და მაღალი რისკიანობით გამოირჩევიან: საქონლის ხორცი, ფრინველი, თევზი, რძის პროდუქტები, ზოგიერთი მარცვლეული და ბოსტნეული, კვერცხი და სხვა. მათი საერთო მახასიათებელი ცილებით მდიდარი კონსისტენციაა, რაც ბაქტერიების გავრცელების საუკეთესო წინაპირობაა, შესაბამისად ამ პროდუქტებთან მიმართებით უფრო მეტი კონტროლი და ნორმების დაცვა უნდა განხორციელდეს.

ტენიანობის დონე მეტწილად მასტიმულირებელია ბაქტერიების გავრცელებისათვის. შესაბამისად, მშრალი პროდუქტი (მაგალითად ჩირი) ნაკლებად რისკ შემცველია, თუმცა, თუ პროდუქტის შენახვის გარემო და ტენიანობა არ გაკონტროლდება იქმნება საფრთხე, რომ პროდუქტი ბაქტერიების გავრცელების ობიექტი გახდება.

ტემპერატურული რეჟიმი. ბაქტერიები დიდი სისწრაფით მრავლდება 5-60 გრადუს ცელსიუს ტემპერატურულ პირობებში, შესაბამისად ეს ტემპერატურის საშიშ ზონადაა მიჩნეული. ამ მიმართულებით საფრთხის შემცველი ქმედებები, რომლებიც არარეკომენდებულია, შემდეგნაირად გამოიყურება: კერძის არასწორად გაციება/გაცხელება, მაცივარში დაშვებულ ვადაზე

დიდხანს შენახვა, სახიფათო ზონაში დიდხანს გაჩერება, პროდუქტის არასწორ ტემპერატურაზე მომზადება.

იმისათვის, რომ ბაქტერიების გავრცელების თავიდან არიდება მოხდეს, საჭიროა შემდეგი ქმედებების განხორციელება: ტემპერატურის გაზრდა ან მინიმუმამდე დაყვანა, მჟავიანობის კონტროლი, ტენიანობის შემცირება და მომზადების დროის კონტროლი.

ბაქტერიებს არ შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაადგილება, ისინი ადამიანების მეშვეობით ხვდებიან სხვადასხვა პროდუქტებსა და გარემო პირობებში, ამ პროცესს **ჯვარედინი დაბინძურება** ეწოდება. იქიდან გამომდინარე, რომ ჯვარედინი დაბინძურების მთავარი სუბიექტი ადამიანია, მნიშვნელოვანია აუცილებელი სტანდარტებისა და ჰიგიენის საკვანძო ელემენტების გათვალისწინება და პრაქტიკაში განხორციელება.

ქიმიური, ბიოლოგიური და ფიზიკური დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, სამზარეულოში აუცილებელია მომუშავე და მომსახურე პერსონალის მხრიდან შემდეგი ძირითადი ნორმების დაცვა: არ შეიძლება ავადმყოფობის დროს მუშაობა (მცირე გაციების დროსაც კი), პერსონალი ყოველდღიურად სუფთა ფორმით უნდა ასრულებდეს სამსახურეობრივ მოვალეობას, მუშაობისას გამოიყენოს წინსაფარი, თან იქონიოს პროდუქტის თერმომეტრი, ატაროს შესაბამისი დახურული ფეხსაცმელი, ჰქონდეს შეკრული თმა და ეხუროს ქუდი, ხშირად დაიბანოს ხელები. აკრძალულია: მოუწესრიგებელი ფრჩხილები ან ლაკი, სამკაულის ტარება, მამაკაცის შემთხვევაში წვერის ტარება.

იქიდან გამომდინარე, რომ სამზარეულოს ჰიგიენის ნორმების დაცვისათვის მნიშვნელოვანია ქიმიური ხსნარების გამოყენება, ზოგიერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს **ქიმიურ დაბინძურებასთან**. ამ ღონისძიების პრევენციის მიზნით, რეკომენდებულია შემდეგი სახის ქმედებები: ა) ქიმიკატების ცალკე, იზოლირებულ ადგილას შენახვა გამოყენების პროცესის შემდგომ, ბ) გამოყენება მხოლოდ მწარმოებლის მხრიდან გაცემული რეკომენდაციების მიხედვით, გ) ყველა დანადგარისთვის არ იქნას გამოყენებული ერთი და იგივე სახის ქიმიური საშუალებები, დ) დაცული იქნას დოზირება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დაბინძურების წყარო, რომელიც ფიზიკურ საგნებს უკავშირდება, ეს არის **ფიზიკური დაბინძურება**. ამ კონტექსტში, უნებლიე პროდუქტის წარმოებისათვის მნიშვნელოვანია ხუთი პრინციპის დაცვა:

1. სისუფთავისა და ჰიგიენის უზრუნველყოფა;
2. დამუშავებელი და მზა პროდუქტის განცალკევება და შენახვის ინდივიდუალური პირობების დაცვა;
3. კერძის მომზადებისას პროდუქტების დამუშავება თერმულად;
4. სურსათის შენახვისას უვნებელი ტემპერატურული რეჟიმის შესაბამისობის დაცვა;
5. უვნებელი წყლის და სასურსათო ნედლეულის გამოყენება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, წარმოადგენს ძირითად, საბაზისო რეკომენდაციებს კვების ობიექტებისათვის, რაც ემსახურება სხვადასხვა წარმოშობის დაბინძურების წყაროების პრევენციისა და დროული კონტროლის მექანიზმების შემუშავების აუცილებლობას. იქიდან გამომდინარე, რომ კვების ობიექტის მუშაობა დაკავშირებულია სხვადასხვა სახის მომწოდებლებთან, ვარგისიანობისა და შენახვის პირობების კონტროლთან, ასევე ტრანსპორტირების საკითხებთან და მალფუჭებადობასთან, აუცილებელია სტანდარტების დაცვა და მონიტორინგის სისტემის პერმანენტული მუშაობა, რადგან თავიდან აცილებული იქნას ყველა ის გართულება თუ დაბინძურების წყაროების დროული ლიკვიდაცია, რაც კვების ობიექტის წარმატებული მუშაობის აუცილებელი წინაპირობაა.

უსაფრთხოება. უსაფრთხოების ნორმების დაცვა კვების ობიექტზე ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. რესტორნის უსაფრთხოების დაცვის ძირითადი მიზანია სახანძრო და ავარიული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სტუმრისა და პერსონალის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი ქონების დაცვა. საფრთხე შეიძლება იყოს მრავალნაირი, გამომწვევი მიზეზისა და მასშტაბურობის გათვალისწინებით, თუმცა კვების ობიექტზე ძირითადი რისკები დაკავშირებულია ხანძართან და თავდასხმასთან, სალაროს გაძარცვის მიზნით.

ყველაზე გავრცელებული საფრთხე დაკავშირებულია ხანძრის წარმოშობასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, შენობას უნდა ჰქონდეს ორი გასასვლელი, დროული ევაკუაციის მიზნით, ხოლო ხანძრის პრევენციისთვის

რეკომენდებულია შემდეგი ქმედებების პერმანენტული განხორციელება, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს რისკების რეალიზაციის ალბათობას, კერძოდ: ობიექტზე რეგულარულად უნდა მონმდებოდეს ელექტრო გაყვანილობა, გათბობის სისტემები; კონტროლდებოდეს სახანძრო კიბეები (არსებობის შემთხვევაში), რათა არ მოხდეს მისი არასწირო ნივთებით გადატვირთვა; მონმდებოდეს ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების გამართულობა (ცეცხლმაქრები, ჰიდრანტები) და სხვ.


მენიუ. გამომდინარე იქიდან, რომ კონკრეტული არეალის მონახულები-სას, ვიზიტორს აქვს ინტერესი დააგემოვნოს ადგილობრივი კერძები, გაეცნოს ახალ გემოებს და ჩაერთოს საინტერესო კულინარიულ თავგა-დასავალში, მნიშვნელოვანია კვების ობიექტებმა იზრუნონ ტურისტული მენიუს განვითარებაზე.

კულინარია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის განუყოფე-ლი ნაწილია და კლასიფიცირდება, როგორც საზოგადოებრივი გამოცდი-ლება, რომელიც ასწლეულების მანძილზე უწყვეტად გადაეცემოდა თაობებს; თავის თავში ასახავდა და გადმოსცემდა თემის ხასიათს, შემოქმედებითობას, ბუნებრივ პირობებსა და ბუნებასთან სიახლოვეს. შესაბამისად, თანამედროვე კვების ობიექტებისათვის რეკომენდებულია მენიუში ადგილი დაუთმონ და წინ წამოსწიონ ადგილობრივი კერძები, რათა სტუმრები ეზიარონ იმ გემოებს, რომელსაც სხვაგან ამ ფორმით და მოცემულობით ვერ დააგემოვნებენ. ამ მხრივ აუცილებელია კვების ობიექტებმა იზრუნონ ტურისტული მენიუს განვითარებაზე, რომელიც საუკეთესო მარკეტინგული იარაღი იქნება კვების ობიექტის პოპულა-რიზაციისთვის.

ფშავ-ხევსურეთსა და მთიულეთს საკმაოდ მდიდარი ადგილობრივი სამზარეულო აქვს, თუმცა, კვების ობიექტებზე მათი მხოლოდ მცირე ნაწილია შეთავაზებაში, როგორიცაა ხინკალი, მხლოვანა და იშვიათ შემ-თხვევაში ხაჭოერბო. ბევრი ტრადიციული კერძი თითქმის დავიწყებას არის მიცემული, რომელსაც არათუ კვების ობიექტებზე, არამედ ოჯახებში ნაკლებად ამზადებენ. ადგილობრივი სამზარეულოს წარმოჩენაზე ზრუნვა ხელს შეუწყობს არამატერიალური კულტურის შემონახვას, აღდგენასა და ცნობადობის გაზრდას, რაც თავის მხრივ წარმატების ფაქტორი გახდება ნებისმიერი კატეგორიის კვების ობიექტისთვის.

ტურისტული მენიუს განვითარებისას გასათვალისწინებელი საკითხებია:

- ადგილობრივი კერძების წარმოჩენა მენიუში. კერძოდ, ტრადიციული კერძები სასურველია მთლიანი მენიუს კონკრეტულ ქვეთავს შეადგენდნენ, ან მენიუს სტრუქტურის შესაბამის დანაყოფში მონიშნული იყოს მაგალითად რაიმე მცირე ზომის ორნამენტით მათი მარტივი იდენტიფიცირებისთვის;
- მენიუში წარმოდგენილ თითოეულ კერძს უნდა ჰქონდეს ინგრედიენტების გაშიფვრა, რათა გამარტივდეს კერძის სწორად შერჩევის პროცესი მომხმარებელთა მახასიათებლების გათვალისწინებით;
- ტურისტული მენიუს მთავარი კერძები სასურველია იყოს დასურათებული, რათა სტუმრებს გაუმარტივდეთ სწორი არჩევანის გაკეთება;
- მენიუ უნდა იყოს მინიმუმ ორენოვანი (ქართული/ინგლისური), რათა სტუმრებს დამოუკიდებლად შეეძლოთ ობიექტის შეთავაზებების გაცნობა და სასურველის შეკვეთა;
- მენიუში მითითებული უნდა იყოს თითოეული კერძის გრამაჟი და სასმელის შემთხვევაში მისი მოცულობა, რათა მომხმარებელს ჰქონდეს ორიენტაცია შეკვეთის მოცულობის შესახებ.



ფშავ-ხევსურეთისა და მთიულეთის კულინარიული რესურსი ტურისტული მენიუს დივერსიფიცირების საშუალებას იძლევა. კერძოდ, წვნიანების ნაირსახეობა (გოგრის, ღოღოს), ვეგეტარიანული კერძების არჩევანი (ჩადუნა, კუს ერბო, ღანძილი, ხავინი, ღურღუჭელი), არამატერიალური ძეგლის სტატუსის მქონდე დამბალ ხაჭო და მისგან მომზადებული კერძი ხაჭოერბო, ცომეულის დიდი არჩევანი (მხლოვანა, კეცეული, ხორციანი და ხაჭოიანი ქადები), ადგილობრივი ალკოჰოლური სასმელები (ლუდი, ჟიპიტაური და ვაშლის მჟავა¹) საუკეთესო შეთავაზება იქნება ტურისტებისათვის, რომლებიც დიდი ინტერესით გამოირჩევიან სიახლეებისა და უნიკალური გამოცდილების გასაზიარებლად.

¹ უალკოჰოლო სასმელი, რომელიც ვაშლით, თაფლითა და წყლით მიიღება

თუმცა გარდა მენიუს სწორად შედგენისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კერძების ესთეტიურ გაფორმებასა და სერვირებას. ამ მხრივ სასურველია ობიექტზე გამოყენებული იყოს ტრადიციული ქურჭელი, თუნდაც მხოლოდ ადგილობრივი კერძების შეთავაზებისას.

როდესაც მენიუს ფორმირებაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ შევეხოთ ადგილობრივ ტრადიციას ფშავში, რომელსაც ჯერის თავის ტრადიციას უწოდებდნენ. „ჯერი“ ნიშნავდა საკვებს, ანუ ჯერის თავი ნიშნავდა - მთავარ საჭმელს. ტრადიციის გასაგრძელებლად სასურველ იქნებოდა კვების ობიექტზე დღის კერძის შეთავაზება, რაც ერთის მხრივ საინტერესოს და განსხვავებულს გახდიდა ობიექტის შეთავაზებას, ხოლო მეორეს მხრივ დროითი რესურსის დაზოგვის მიზნით გაამარტივებდა მომხმარებლის არჩევანს.

მომსახურე პერსონალი. მომსახურების პროცესში ჩართული თანამშრომლების უნარებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. კომუნიკაცია, თავაზიანობა, ინტერპრეტაციის უნარი, სტრესულ სიტუაციებთან გამკლავება, ცოდნა, შრომისმოყვარეობა თუ მრავალი სხვა, საშუალებას აძლევს მომსახურე პერსონალს მოახდინოს მენიუს სწორად პრეზენტირება, შესთავაზონ სიახლეები მენიუში, გაითვალისწინონ სტუმრის ინდივიდუალური სურვილები, საჭიროებები და შეზღუდვები, ინფორმაციულად უზრუნველყონ ისინი და შეუქმნან სასიამოვნო ატმოსფერო.

მნიშვნელოვანია მომსახურების პროცესში ჩართული თანამშრომლების გარეგნული იერსახე, რაც გამოიხატება სუფთა უნიფორმის ტარებაში, მოწესრიგებულ ვარცხნილობასა და ჰიგიენის ნორმების დაცვაში, ამასთან სამკერდე ნიშნის ტარებასა და მუდმივ მზადყოფნაში. მომსახურე პერსონალის ჩაცმულობის შერჩევისას სასურველია გათვალისწინებული იყოს კუთხის ტრადიციულ სამოსის ელემენტები, რომლის მიღწევაც მართივად, ერთი-ორი შტრიხითაც შესაძლებელია.

ეზო და ექსტერიერი. ტრადიციული არქიტექტურული სტილის დაცვა, ადგილობრივი მასალის გამოყენება, ადგილობრივი კულტურისა და ეთნოგრაფიის ელემენტების ასახვა ექსტერიერსა და ინტერიერში, სუფთა და მოწესრიგებული გარემო - ის ძირითადი ელემენტებია, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს კვების ობიექტის განვითარებისას.

გარე სივრცის კეთილმოწყობა განსაკუთრებით მომგებიანია ობიექტისთვის. ერთის მხრივ ხელს უწყობს ადგილის ვიზუალურ შემეცნებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურისტისთვის, ხოლო მეორეს მხრივ სუფთა ჰაერზე დასვენების და განტვირთვის კარგ შესაძლებლობას იძლევა. კვებითი მომსახურების მიღება შთაბეჭდავი ხედების და ლანდშაფტის არსებობისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე ობიექტის შერჩევისას.

ეზო აუცილებლად უნდა იყოს იზოლირებული სხვა საყოფაცხოვრებო სივრცეებისგან და მხოლოდ კვების ობიექტთან უნდა იკვეთებოდეს. მისი ლანდშაფტური დაგეგმარება, ეთნოსივრცე, წარმოდგენილი თემატური საყოფაცხოვრებო და ტრადიციული გამოყენების იარაღებითა და დეკორებით, სისუფთავე და წესრიგი მეტ სიმყუდროვეს და კმაყოფილებას განაპირობებს მომხმარებელში, რაც ობიექტზე მრავალჯერადი ვიზიტის საფუძველი შესაძლოა გახდეს გემრიელი კერძების დაგემოვნებით მიღებულ შთაბეჭდილებებთან ერთად (იხ. ფოტო 03).

სასურველია ასევე, თუ ეზოში კონკრეტული სივრცე დაეთმობა ბავშვებს, რაც მნიშვნელოვანი კომფორტი იქნება ოჯახებით მოგზაური სეგმენტისთვის.



ფოტო 03.

კვების სივრცე ენაგხოვნის ეკოსოფდის კვების ობიექტზე საბეჩძნეთში, კუნძუდი კიეგა.

ობიექტს ასევე უნდა ჰქონდეს სახელობითი აბრა, რომელიც სასურველია ობიექტის ინდივიდუალიზმს გამოხატავდეს და არა კერძების ფოტოებს ობიექტის მენიუდან (იხ. ფოტო 04).

ინტერიერი და ატმოსფერო.
სასურველი იქნება თუკი ობიექტზე ადგილწარმოშობის, ავთენტურობისა და არქიტექტურული ინდივიდუალიზმის მახასიათებლების გათვალისწინება მოხდება; ყველა ნივთი, ავეჯი თუ ქურჭელი ადგილობრივი ყოფის და სტილის გამომხატველი და ამსახველი იქნება.



ფოტო 04.
მახვი აბრის ნიმუში



ფოტო 05, 06.
ინტეხიეხის დიზაინი საბეხძნეთის კვების ობიექტზე



მაგიდეები სასურველია იყოს რანჟირებული დასაჯდომი ადგილების მიხედვით და მათი განლაგება არ უნდა ზღუდავდეს სტუმრებისა და მომსახურე პერსონალის თავისუფლად მოძრაობას. კერძოდ, განლაგებული იყოს ადვილად მისადგომ, მოსახერხებელ ადგილებზე, ანუ შორს შესასვლელისგან, სამზარეულოსგან, საპირფარეშოსგან.

დარბაზში ატმოსფეროს შექმნისას გათვალისწინებული უნდა იყოს განათება, მუსიკალური ფონი, ფერები, გათბობა-გაგრილების სისტემა, რაც მთლიანობაში სიმყუდროვესა და სასიამოვნო გარემოს უნდა უქმნიდეს მომხმარებელს.



2.2.4. აგროტურიზმის მუხნეობა

აგროტურიზმი ტურიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. მისი მთავარი ტურისტული მიმზიდველობა ტრადიციული გლეხური/ფერმერული მეურნეობაა, სადაც ადგილზე იწარმოება პროდუქტის 40 % და შენარჩუნებულია პროდუქტის წარმოებისა და შენახვის ტრადიციული ტექნოლოგია. აგროტურიზმის შემადგენელი ძირითადი კომპონენტებია: მეურნეობა, ადგილობრივი მოსახლეობა, ეკოლოგიური პროდუქტი და ტურისტის მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, რაც გულისხმობს რთველში მონაწილეობას, ყურძნის დაწურვას, ჩურჩხელების ამოვლებას, თონეში პურის ჩაკვრას, ყველის ამოყვანას, თაფლის ამოღებას და სხვ.

აგროტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის გაუმჯობესებას სოფლად და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მცირე მეურნეობებისთვის, რომლებიც სავარგულების სიმცირის და სხვათა გამო კონკურენციას ვერ უწევენ მსხვილ ფერმერებს.

მნიშვნელოვანია აგროტურისტული საქმიანობის დაწყებამდე შეამოწმოს საკუთარი შესაძლებლობები, რაც დაგეხმარებათ ვითარების ობიექტურ შეფასებაში, მზად ხართ თუ არა ტურისტული მეურნეობის დასაწყებად, კერძოდ:

1. **განსაზღვრეთ სოფლის მეურნეობის რომელ კომპონენტში ხართ ძლიერი და გსურთ თუ არა ტურისტებისთვის აღნიშნული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება?** მაგალითად თუ თქვენი ძირითადი საქმიანობაა მესაქონლეობა, მაშინ აგროტურისტული აქტივობებად შესაძლოა განიხილებოდეს: ცხოველების გამწყემსვა, მოწველა, რძის პროდუქტების დამზადებაში მონაწილეობა, ზამთრის სანოვაგის გათიბვა, თივის ზვინის დადგმა და ა.შ; თუ თქვენი ძირითადი საქმიანობა მებოსტნეობა, მებალჩეობა ან მეხილეობაა, მაშინ აქტივობები შესაძლო იყოს: თესვა, დარგვა, ხეხილის გასხვლა, მოსავლის აღება, ზამთრისთვის დახარისხება და შენახვა, ასევე მარინადების, ჯემების, კომპოტების, მურაბების მომზადება და ა.შ. თუმცა გარდა შინაური კულტურებისა, შესაძლებელია ასევე ტყის ხილის, სოკოს, სამკურნალო მცენარეების შეგროვების აქტივობებში მონაწილეობა; ხოლო თუ თქვენი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა მრავალფეროვანია, მნიშვნელოვანია ჯერ ძირითადი აგროტურისტული ხაზის განვითარება, ხოლო შემდეგ მისი ეტაპობრივი დივერსიფიცირება დამატებითი ტურისტული შეთავაზებების ფორმირებით.
2. **ადამიანური რესურსის შეფასება.** გახსოვდეთ, რომ ტურისტი თქვენთან მხოლოდ თქვენი საქონლისა და მცენარეული კულტურის სანახვად არ მოდის. მას აინტერესებს თქვენი ყოველდღიური გარემო და ტექნოლოგიების გაცნობა, რომელსაც ტრადიციულად აღნიშნული კუთხის მოსახლეობა იყენებდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისას. ვინაიდან ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართვა თქვენგან დამატებით კომპეტენციებს მოითხოვს, მნიშვნელოვანია წინასწარ განსაზღვროთ რა შესაძლებლობები გაქვთ ადამიანური რესურსის კუთხით. კერძოდ, ხართ თუ არა კომუნიკაბელური, შეგიძლიათ თუ არა სხვისი მოთხოვნის გათვალისწინება, გაქვთ თუ არა მოსმენის, პრეტენზიების მიღების უნარი; როგორ ფლობთ უცხო ენას; შეგიძლიათ თუ არა შეაფასოთ თქვენი ბიზნეს საქმიანობის ფინანსური მხარე - ხარჯი, მოგება, წაგება; აღნიშნულის გააზრება დაგეხმარებათ შეაფასოთ სად არის თქვენი ძლიერი და სუსტი მხარე, რა საჭიროებს წინ წამოწევას და განვითარებას, პასუხისმგებლობების გადანაწილებას ოჯახის სხვა წევრებზე, ადამიანური რესურსის დამატების აუცილებლობას და სხვ.

3. **საჭირო ინფრასტრუქტურის და ინვენტარის განსაზღვრა.** როგორც უკვე ავლიშნეთ აგროტურიზმის განვითარება არ მოითხოვს განსაკუთრებულ ინფრასტრუქტურას ფერმერისგან, თუმცა მინიმალური სტანდარტების დასაკმაყოფილებლად აქაც გარკვეული საჭიროებები არსებობს, რაც განისაზღვრება გამომდინარე იქედან თუ რა ტიპის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევიან. უპირველესად მნიშვნელოვანია სამეურნეო არეალის გამართულობა და სისუფთავე, ამასთან კაპიტალური სანიტარული კვანძის არსებობა და სადეგუსტაციო სივრცე, ტრადიციული მასალითა და არქიტექტურული ელემენტებით წარმოდგენილი (იხ. ფოტო 07). ობიექტზე ტურისტთა მარტივი ორიენტაციისთვის გასათვალისწინებელია შიდა მანიშნებლების განთავსება და უსაფრთხოების მინიმალური ნორმების დაცვა, როგორიცაა ცხოველებთან კონტაქტური აქტივობებისას, ხანძრის პრევენციის მიზნით (ცეცხლმაქრების არსებობა ობიექტის ზომიდან გამომდინარე, დახურულ სივრცეებში კვამლის დეტექტორების განთავსება) და სხვ.



ფოტო 07.

აგროტურიზმული მეუხნეობა „ბეჩოს ნობათის“ სადეგუსტაციო სივრცე.

4. **პროდუქტის ბრენდირება და შეფუთვა.** ამერიკის მარკეტინგული ასოციაციის თანახმად ბრენდი არის „სახელი, სლოგანი, ლოგო, სიმბოლო ან დიზაინი ან ამათი ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს პოტენციური მომხმარებლის თვალში მწარმოებელთა გამორჩევას, რომლებიც მსგავს პროდუქციას აწარმოებენ. აღნიშნული კომპონენტი მნიშვნელოვანია ტურისტული ობიექტის იმიჯის და ცნობადობის გასაზრდელად, რაც თავის მხრივ განაპირობებს გაყიდვების ზრდას და ხელს უწყობს ლოიალური მომხმარებლის გაჩენას ხარისხის უზრუნველყოფის პირობებში(იხ. ფოტო 08).



ფოტო 08. აგხომეუხნეობა „ბეჩოს ნობათი“-ს ბიენდიხებული და შეფუთული პიოდუქცია, მესტია

5. **შემოსავლების დივერსიფიცირების შესაძლებლობა.** აგროტურისტულმა მეურნეობამ ძირითადი მიმართულების განვითარების შემდეგ შესაძლოა იზრუნოს შეთავაზებების დივერსიფიცირებაზე, როგორიცაა განთავსება, კვებითი მომსახურება და სხვ. **განთავსება** განსაკუთრებით მიმზიდველია საოჯახო აგროტურისტული მეურნეობის შემთხვევაში, როცა ვიზიტორებს ოჯახთან მეტი კომუნიკაციის და ადგილობრივი ყოფისა და ტრადიციების გაცნობის საშუალებაც ეძლევათ (განთავსების ობიექტის მოწყობის სტანდარტები იხილეთ ქვეთავში საოჯახო სასტუმრო); **კვებითი მომსახურების** შეთავაზება

განსაკუთრებით მიმზიდველია ტურისტული ჯგუფებისთვის (ამ შემთხვევაში რეკომენდებულია თანამშრომლობა ტურისტულ კომპანიებთან), როცა მეურნეობის მთავარი პროდუქტის წარმოების გაცნობის შემდეგ ვიზიტორებს მისი დეგუსტაციის ან სადილობის, ვახშმობის შესაძლებლობა ექნებათ. **კულინარიული მასტერკლასები**, შესაძლოა ორიენტირდებოდეს კუთხის ტრადიციული კერძების მომზადების ჩვენებაზე. მაგალითად ტრადიციული პურის ცხოობა (იხ. ფოტო 09. აგროტურისტული მეურნეობის აქტივობა საბერძნეთში), ხინკლის მომზადება და სხვ.



ფოტო 09.

ტრადიციული პურის გამოცხოობის მასტერკლასი საბერძნეთში

რესურსების შეფასება გვაძლევს საშუალებას სწორად განვსაზღვროთ რა ტურისტული მომსახურებების შეთავაზება შეგვიძლია მიზნობრივი სეგმენტისთვის, ვინ შეიძლება ქმნიდეს აგროტურისტული მეურნეობების მიზნობრივ ჯგუფებს:

- **ტურისტები, რომელთაც ჰყავთ პატარა ბავშვები.** აღნიშნული მიზნობრივი ჯგუფის შეთავაზებაში უნდა იყოს ეზოში გასართობი სივრცე (მაგ. ქვიშის მოედანი, საქანელა) და შინაურ ცხოველებთან ურთიერთობისას - დაცული უსაფრთხოების ნორმები;
- **ეკოტურისტები** დიდ ყურადღებას აქცევენ გარემო პირობების დაცვას (როგორც გარეთ, ასევე მეურნეობაში). ინტერესდებიან ადგილობრივების ცხოვრებით, სოფლის მეურნეობით, სარგებლობენ ადგილობრივი პროდუქტით.
- **აგროტურისტები.** აინტერესებთ სასოფლო-სამეურნეო პროცესებში აქტიური მონაწილეობა ან უბრალოდ თვალყურისდევნება; ცხოვრება მეურნეობასთან ახლოს წარმოების ტექნოლოგიის ტრადიციის, ადგილობრივთა წეს-ჩვეულებების კარგად გასაცნობად.



2.2.5. გაქირავების ობიექტი

გაქირავების ობიექტის მომსახურება გულისხმობს სხვადასხვა ტურისტული აქტივობისთვის საჭირო შესაბამისი ინვენტარის ან სასტრანსპორტო საშუალების გაქირავებას, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის მინიმალურ მოთხოვნებს. ასეთი ტიპის მომსახურება შეიძლება იყოს ცხენების, ველოსიპედის, თხილამურების, მარხილის, კვადროციკლების, ავტომობილების გაქირავება და სხვ.

წარმოდგენილიასორტიმენტი,აღჭურვილობისდაზღვევა,უსაფრთხოების ნორმების გაუთვალისწინებლობა და დამატებითი შეთავაზებების სიმცირე- გაქირავების საშუალებების მთავარი გამოწვევებია, რომელიც მეწარმეების შემთხვევაში ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

სივრცის მონყობა. მნიშვნელოვანია გაქირავების ობიექტს ჰქონდეს სივრცე, სადაც წარმოდგენილი იქნება გასაქირავებელი აღჭურვილობები და ვიზიტორს საშუალება ექნება დაათვალიეროს და ადგილზე შეაფასოს სასურველი ნივთი უსაფრთხოების თუ სხვა კუთხით. ასევე გაეცნოს სადაზღვევო პირობებს, გააფორმოს ხელშეკრულება და მიიღოს ინფორმაცია სხვა დამატებითი მომსახურებებით სარგებლობის შესახებ.

სასურველია მეწარმემ იზრუნოს გაქირავების სივრცის თემატურად მონყობაზე. კერძოდ, გასაქირავებელი საგნების მიხედვით სივრცეს უნდა ჰქონდეს:

- **დამცავი შენობა-ნაგებობა,** სადაც მოხდება ვიზიტორის მიღება-ინფორმირება არსებული სერვისების შესახებ. აღნიშნულ სივრცეში გათვალისწინებული უნდა იყოს პირველადი სამედიცინო დახმარების შესაძლებლობაც, კერძოდ, აფთიაქი გარემოს სპეციფიკისა და მომსახურების კატეგორიის გათვალისწინებით, ხოლო თავად მეწარმეს გავლილი უნდა ჰქონდეს პირველადი სამედიცინო დახმარების კურსი.
- ობიექტს უნდა ჰქონდეს სუფთა და მოწესრიგებული **სანიტარული კვანძი;**
- **გარე მოსასვენებელი სივრცე,** სადაც შესაძლებელი იქნება მცირე კვებითი მომსახურების შეთავაზება ვიზიტორებისთვის (წყალი, ყავა/ჩაი, გამაგრებელი სასმელები წასახემსებლებთან ერთად);
- **სახელობითი აბრის** განთავსება ობიექტთან, ხოლო მიმართულების მანიშნებელი აბრების - საჭიროებისამებრ.

იმის მიუხედავად, რომ ამ მიმართულებით კონკურენცია საქართველოში საკმაოდ დაბალია და შესაბამისი ხარისხის მომსახურების მიღება მარტივი არ არის, კონკურენტუნარიანი ბიზნესის წარმოების კუთხით, მნიშვნელოვანია განვითარების ინდივიდუალური გზების მოძებნა, ახალი შეთავაზებების ინიცირება და სეგმენტთან უფრო დივერსიფიცირებული პროდუქტითა და მომსახურებით მუშაობა. კერძოდ, ტურების, მარშრუტების შეთავაზება კვალიფიციურ გიდთან ან გამყოლთან ერთად გაზრდის მომხმარებელთა კმაყოფილებას და ამავედროულად შემოსვლების დივერსიფიცირების საშუალებას მისცემს მეწარმეს (მარშრუტის დაგეგმვის

და შეთავაზების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ საფეხმავლო გიდის ქვეთავში).

მნიშვნელოვანია მეწარემ იზრუნოს ობიექტისა და პოტენციური რისკების დაზღვევაზე, რადგან აღჭურვილობის და ძირითადი რესურსების გამოიყენება ხდება ექსტრემალურ სპორტში, შესაბამისად დაზიანების რისკი საგრძნობლად იზრდება. ქონების ფიზიკური ზიანისაგან დაზღვევისას გასათვალისწინებელია ორი ძირითადი ჯგუფის განსაზღვრის აუცილებლობა: დაზღვევის ობიექტი და დაზღვეული რისკები:

დაზღვევის ობიექტი

- შენობა ნაგებობები, შიდა მოპირკეთება და რემონტი, გარე შემინულობა
- მანქანა დანადგარები, ელექტროტექნიკა
- საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ა.შ.
- პროდუქცია და სასაქონლო მარაგები
- შიდა კომუნიკაციები და სხვა.

დაზღვეული რისკები

- A ჯგუფი – ხანძარი, მეხის დაცემა, აფეთქება, თვითმფრინავის ჩამოვარდნა
- B ჯგუფი – სტიქიური უბედურება: სეტყვა, წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი, ზვავი, გრუნტის დაწევა, ჰაერის მასების მოძრაობა 25 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარით
- C ჯგუფი – ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა
- D ჯგუფი – მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, სატრანსპორტო საშუალების შეჯახება, დატბორვა, კვამლით დაზიანება

დაზღვევის პირობები, პაკეტები და თანხის ლიმიტი განსხვავებულია სხვადასხვა კომპანიის შემთხვევაში.



2.2.6. საფეხმავლო გიდი

ადგილობრივი გამყოლი არის ფეხით/ცხენით მოგზაურთა გზის მაჩვენებელი, შესაბამისად იგი კარგად უნდა იცნობდეს იმ ადგილებს, სადაც ტურისტებს უძღვება წინ, ვინაიდან მას დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც გამყოლს, ხელმძღვანელს მარშრუტზე გადაადგილებისას. მისი უშუალო მოვალეობაა მეგზურობა გაუწიოს ტურისტებს საქართველოს და/ან კონკრეტული მთიანი რეგიონის მასშტაბით, საქართველოს რეკრეაციულ ზონებსა და ტურისტებისათვის საინტერესოდ მიჩნეულ სხვა ობიექტებში. იგი უზრუნველყოფს ტურის მომზადებას, ჯგუფის უსაფრთხოებას, დაგეგმილი მომსახურების ხარისხის კონტროლს და პასუხისმგებელია მისი დაგეგმვისა და განხორციელების ყველა ეტაპზე. გიდმა უნდა იცოდეს და გაცნობიერებული ჰქონდეს სათავგადასავლო ტურიზმის სფეროსთვის დამახასიათებელი პროცესები, ზოგადი პრინციპები და კონცეფციები. მნიშვნელოვანი თვისებები. გამყოლი უნდა იყოს ერუდირებული და კომუნიკაბელური ადამიანი, უნდა შეეძლოს და უყვარდეს საუბარი. მისთვის აუცილებელია კარგი მეხსიერება, სწრაფვა ცოდნის გაღრმავებისკენ, მაღალი პასუხისმგებლობა. იგი უნდა იყოს განონასწორებული და კეთილგანწყობილი, ყოველთვის მზად განსხვავებული ხასიათის ადამიანებთან ურთიერთობისათვის. უნდა იყოს ფიზიკურად კარგად მომზადებული, რადგან აქტიურ სეზონზე შესაძლოა მოუწიოს ტურისტთა მრავალ ჯგუფთან მუშაობა.

მარშრუტის დაგეგმვა

პოტენციური მარშრუტის იდენტიფიცირებისას საფეხმავლო გიდმა უნდა მოახდინოს სამი უმთავრესი კომპონენტის გათვალისწინება:

ბუნებრივი და კულტურული
რესურსების არსებობა

მუდმივმოსახლე თემი

ტურისტული მომსახურების
შეთავაზების შესაძლებლობა

ამასთან სიცოცხლის უსაფრთხოება, ტურისტების ჯანმრთელობა, მათი ქონების დაცვის უზრუნველყოფა და გარემოს დაცვა!

ბუნებრივი რესურსები

ბუნებრივ რესურსებში იგულისხმება ბუნების კომპონენტები (ჰავა, რელიეფი, ჰიდროლოგიური ქსელი, ფლორა, ფაუნა), რომელთა გამოყენება შეიძლება ადამიანების კულტურული და მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის.

ჰავა. ჰავა გარკვეული ტერიტორიისთვის დამახასიათებელი ამინდების მრავალწლიანი რეჟიმი, რომელიც, თავის მხრივ, გარკვეული მეტეოროლოგიური ელემენტების ერთობლიობას წარმოადგენს. მარშრუტის დაგეგმვისას ჰავის თავისებურებების გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, სამოგზაუროდ სასურველი სეზონის განსასაზღვრად.

ჰიდროგრაფია. მარშრუტის დასაგეგმ არეალში წყლის რესურსების შესახებ ინფორმაციის მოძიება ძალზედ მნიშვნელოვანია შესაბამისი ეკოტურისტული აქტივობების დასაგეგმად. სწრაფი მდინარეების შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ტურისტის უსაფრთხოება (მაგ. წყალმოვარდნები). ამავდროულად ასეთი მდინარეები ეკოტურიზმის ექსტრემალური სახეობებისთვის მნიშვნელოვანი რესურსია (მაგ. რაფტინგი).

რელიეფი. ეკოტურისტული საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელი პირობაა სასურველი ტერიტორიის რელიეფის შეფასება, როგორც პოტენციური რესურსის, ასევე ტურისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მარშრუტის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია ფერდობების დახრილობა, სიმაღლებრივი მატება და სტიქიური პროცესები (მენყერი, კლდეზვავი, ღვარცოფი).

ბიომრავალფეროვნება. მცენარეულ საფარის (მაგ. ტყეს) და ცხოველთა სამყაროს მრავალფეროვნების გათვალისწინება ეკოტურისტული მარშრუტის დაგეგმვისას აუცილებელია. მათი მრავალფეროვნება ეკოტურისტულ მოგზაურობას უფრო სასიამოვნოს და სასარგებლოს ხდის (მაგ. ბუნების ისტორიისა და ფრინველებზე დაკვირვების მარშრუტები).

კულტურული რესურსები

ანთროპოგენურ რესურსს საზოგადოების განვითარების პროცესში შექმნილი მემკვიდრეობა წარმოადგენს. მას ძირითადად ისტორიულ-კულტურული რესურსების ან კულტურული მემკვიდრეობის სახელით მოიხსენიებენ. ანთროპოგენური რესურსი იყოფა ორ კატეგორიად: მატერიალურ და არამატერიალურ რესურსად

მატერიალური. შერჩეულ არეალში მატერიალური კულტურული რესურსების არსებობა უკავშირდება ეკოტურისტული პროდუქტის ხარისხს. ასეთი სახის ობიექტებს წარმოადგენს: ტაძრები, ციხე-სიმაგრეები, ისტორიული ხიდები, ნაქალაქარები, არქეოლოგიური ობიექტები და სხვ. მარშრუტში შემავალი ობიექტების განსაზღვრის შემდგომ, დაზუსტებას საჭიროებს სხვადასხვა გარემოება, მაგალითად, ძეგლის მდგომარეობა, მიმზიდველობა და ფასეულობა (ეროვნული თუ ადგილობრივი მნიშვნელობის). ამასთან გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორებიც, როგორებიცაა: მისადგომობა (ფეხით ან არამოტორიზებული სატრანსპორტო საშუალებით), ძეგლის მონახულებისთვის დადგენილი წესები (მუზეუმების შემთხვევაში სამუშაო დღეები/საათები), ადგილზე დამატებითი მომსახურებების არსებობა, ძეგლის ან მიმდებარე ტერიტორიის ეკოლოგიური მდგომარეობა და სხვა.

არამატერიალური. არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას განეკუთვნება: ზეპირი ტრადიციები: ლეგენდა, იგავი, თქმულება; საშემსრულებლო ხელოვნება: სიმღერა, ცეკვა, სახიობა; საზოგადოებრივი პრაქტიკა: თამაშობა, დღეობა, დღესასწაული, კულინარია; გარე სამყაროსთან დაკავშირებული გამოცდილება (ხალხური მედიცინა, ბუნების მოვლენებთან დაკავშირებული ადათ-წესები, შინაური ცხოველებისა და ფრინველების, ხილისა თუ ბოსტნეულის ჯიშები; ხელოსნობის დარგები და ტექნიკა: თექა, ფარდაგი, მეტალის და თიხის დამუშავება; საკვლევი რეგიონისთვის აუცილებელია ზემოთ მოყვანილი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება. ამასთან რეგიონში თანხების აკუმულირებისთვის მნიშვნელოვანია ტურისტულ მარშრუტში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა.

მუდმივი მოსახლე თემი

მარშრუტის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა შემდეგი ფაქტორებიდან გამომდინარე:		
უმეტესწილად თემზეა დამოკიდებული ადგილობრივი ბუნებრივი თუ კულტურული ძეგლების მდგომარეობა, სწორედ ისინი განაპირობებენ ტურისტული ობიექტების მიმზიდველობის შენარჩუნებას.	ეკოტურისტული პროდუქტის (ეკოტურისტული მარშრუტის) შექმნისა და განვითარების პროცესში ადგილობრივების ჩართულობა რესურსების მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს.	თემის მხრიდან ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება იქნება დამატებით ღირებულება ეკოტურისტული პროდუქტის შექმნისას.

ტურისტული მომსახურების შეთავაზების შესაძლებლობა

- განთავსების საშუალებები
- კვების ობიექტები
- აგროტურისტული მეურნეობები
- ტრადიციული რეწვის სახელოსნოები



აღნიშნული ობიექტების არსებობა ტურისტულ მარშრუტზე ერთი მხრივ უზრუნველყოფს ტურისტთა კმაყოფილების ზრდას დესტინაციაზე (ტურისტულად ღირსშესანიშნავ ადგილზე) დივერსიფიცირებული პროდუქტის შეთავაზების გზით, ხოლო მეორე მხრივ განაპირობებს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამაღლებას.

გარდა ზემოთაღნიშნული უმთავრესი კომპონენტებისა, ტურის დაგეგმვისას და განხორციელებისას გასათვალისწინებელია:

- ტურის მიზნისა და მარშრუტის სირთულის განსაზღვრა მომხმარებლის ინტერესიდან და სეზონიდან გამომდინარე;
- დაწყება-დასრულების თარიღების განსაზღვრა;
- ყოველი დღის კილომეტრაჟის, სვლის ხანგრძლივობის განსაზღვრა რელიეფისა და სეზონის გათვალისწინებით;
- ბანაკის მართებულად უსაფრთხოდ გაშლა, კვების რაციონისა და შესვენების ადგილის/საათების, სიარულის ტემპისა და მეთოდის რეგულირება გარემო პირობებიდან გამომდინარე;
- აღჭურვილობის მომზადება/მომარაგება ჯგუფის წევრთა რაოდენობიდან და მათი ფიზიკური მომზადებულობიდან გამომდინარე;
- საკვების მომარაგება ჯგუფის რაოდენობიდან და მარშრუტის ხანგრძლივობიდან გამომდინარე;
- პირველი სამედიცინო დახმარების გასაწევად მედიკამენტებისა და ინვენტარის მომარაგება.

საფეხმავლო და საცხენოსნო მარშრუტების პოტენციური მომხმარებლები

საფეხმავლო და საცხენოსნო მარშრუტების მომხმარებლებს შეიძლება ითქვას უმეტესწილად ეკოტურისტები წარმოადგენენ.

რა განაპირობებს ეკოტურისტის არჩევანს?



მომსახურების ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს გიდის და ტურისტთა ჯგუფის რაოდენობრივი შეფარდება. პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ ეს დამოკიდებულია მარშრუტის სირთულეზე.



სათავგადასავლო-ექსტრემალურ ტურიზმში
1 გიდი/5 ტურისტი



ბუნების ისტორიის და სამეცნიერო ტურიზმში
1 გიდი/10-20 ტურისტი



დაცულ ტერიტორიებში მოგზაურობისას
1 გიდი/8 ტურისტი

აღნიშნული ტიპის ტურისტების რეკრეაციული მოთხოვნები განსაკუთრებით მალე იცვლება: მხოლოდ 45% ახორციელებს ერთი და იმავე ადგილას განმეორებით მოგზაურობას. დანარჩენები მიილტვიან ახალი ადგილების და ახლი თავგადასავლების ძიებისკენ, ამიტომ მნიშვნელოვანია მუდმივად ვთავაზობდეთ სიახლეებს.

რუკის და სანავიგაციო სისტემების როლი ტურისტული მარშრუტის დაგეგმვისას

გეოგრაფიული რუკები. ტურისტული მარშრუტის დაგეგმვისას უმთავრესი დამხმარე საშუალება ეს არის რუკები. ველზე სასურველია

გამოიყენეთ რუკის ბეჭდური ვერსია, ხოლო სახლში ინტერნეტის პირობებში კარგ სამსახურს გაგიწევთ ონლაინ რუკები.

გეოგრაფიული რუკა დედამიწის ზედაპირის განზოგადებული გამოსახულებაა სიბრტყეზე.

- შინაარსის მიხედვით ცნობილია ზოგადგეოგრაფიული და თემატური რუკები;
- მასშტაბის მიხედვით ცნობილია საშუალო, წვრილ და მსხვილმასშტაბიანი რუკები;
- დანიშნულების მიხედვით: ტურისტული, სასწავლო, საგზაო და სხვ.

რუკის მასშტაბი. მასშტაბი გვიჩვენებს რუკაზე გამოსახული ობიექტის შემცირების ხარისხს.



საშუალომასშტაბიანი რუკა: 1:200 000-დან 1:1000 000-მდე



წვრილმასშტაბიანი- 1:1000 000 და მეტი



მსხვილმასშტაბიანი რუკა - 1:200 000-მდე

(მსხვილმასშტაბიან რუკებს ტოპოგრაფიულ რუკებსაც უწოდებენ. მათ საფუძველზე ხდება საშუალო და წვრილმასშტაბიანი რუკების შედგენა)

მანძილის და სიმაღლის განსაზღვრა რუკაზე

- რუკაზე მანძილის გასაგებად საჭიროა თავდაპირველად გავზომოთ სახაზავით მანძილი ორ სასურველ წერტილს შორის, ხოლო შემდეგ გადავამრავლოთ შესაბამის მასშტაბზე. მაგალითისთვის: თუ წერტილებს შორის მანძილი შეადგენს 3 სანტიმეტრს, ხოლო რუკის მასშტაბი 1:100 000 (ერთ სანტიმეტრში 10 კმ) შესაბამისად აღნიშნული მანძილი კილომეტრებში იქნება 30 კმ.
- რუკაზე სიმაღლეების განსასაზღვრად გამოიყენება იზოხაზები. ერთნაირი სიღრმეების შემაერთებელი მრუდი. მანძილი ჰორიზონტალებს შორის დაკავშირებულია ფერდობის დაქანებასთან.

რუკის სიმბოლოები. რუკაზე სხვადასხვა გეორგაფიული ობიექტები გამოისახება სიმბოლოებით. ობიექტების გამოსახვა ძირითადად ხდება:

- ხაზით - მდინარეები, გზები, იზოხაზები
 - წერტილებით - დასახლებული პუნქტები (წვრილმასშტაბიან რუკებზე)
 - არეალებით - წიაღისეულის, რაიმე კომპონენტის გავრცელების არეალები
 - ფონით - სხვადასხვა არეალის ხარისხობრივი მაჩვენებლები
-



GPS - გლობალური პოზიციონირების სისტემა

- გლობალური პოზიციონირების სისტემა დედამიწის ხელოვნური კოსმოსური თანამგზავრებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაფუძნებული ნავიგაციის სისტემაა.
- GPS ხელსაწყოები ამუშავებენ თანამგზავრებიდან მიღებულ ინფორმაციას და განსაზღვრავენ მიმღების ზუსტ ადგილმდებარეობას.
- ხელსაწყოებში წარმოდგენილი ინფორმაცია ადვილად გადადის კომპიუტერის მეხსიერებაში შემდგომ.



რა ვქნათ თუ არ გვაქვს GPS ხელსაწყო?

GPS ხელსაწყოს ჩანაცვლება შესაძლებელია Android-ის და ios-ის სისტემის მეორე მობილური ტელეფონებით. ამისთვის საჭიროა ჩამოვტვირთოთ შესაბამისი აპლიკაცია, მაგალითისთვის:


OSMTracker



როგორ მოვიხმართ აპლიკაცია - OSMTracker

მას შემდგომ რაც გადმოწერთ და დააინსტალირებთ აპლიკაციას, გახსენით იგი თქვენს ტელეფონში. ახალი მარშრუტის მონაცემების ასაღებად დააჭირეთ აპლიკაციაში მითითებულ „პლუს“ ნიშანს.

დაელოდეთ რამდენიმე წუთი რათა ხელსაწყომ აღიქვას თქვენს არეალში მყოფი რამდენიმე თანამგზავრი.






მას შემდგომ რაც აპლიკაცია დაიწყებს მონაცემების აღებას მის მენიუში არსებული კატეგორიები გახდება შედარებით მკვეთრი ფერის, რის შემდგომაც უკვე შეგიძლიათ გაიაროთ მარშრუტი, აპლიკაცია თავად დაიმასხოვრებს შესაბამის მონაცემებს.

საწყის გვერდზე დაბრუნებისას აპლიკაციაში გამოჩნდება თქვენი გავლილი მარშრუტი შესაბამისი თარიღით. მარშრუტის დასამასხოვრებლად მცირე ხნით დააწკაპეთ მარშრუტის თარიღზე. შემდეგ დააწკაპეთ Stop tracking, ხოლო საბოლოოდ Export as GPX.

აღნიშნული ქმედებების შემდეგ მობილური ტელეფონი შეუერთეთ კომპიუტერს, მოძებნეთ აპლიკაციის დასახელების საქალაქო, სადაც იხილავთ თქვენ მიერ გავლილი მარშრუტის GPX ფაილს, რომელიც შეგიძლიათ გადმოიტანოთ თქვენს კომპიუტერში.



უსაფრთხოების ნორმები მარშრუტზე მოგზაურობისას

ტურისტულ მარშრუტზე უსაფრთხოების ასპექტის განსაზღვრა მრავალ მიმართულებას გულისხმობს, დაწყებული ტურისტის უსაფრთხოებიდან კონკრეტულ მარშრუტზე, დამთავრებული ტურისტული რეგიონის ეკონომიკური განვითარების უსაფრთხოებით.

თანამედროვე მდგომარეობით მოგზაურობის ექსტრემალურობა განსაკუთრებით სათავადასავლო და სპორტულ ტურიზმში იზრდება. უბედური შემთხვევების მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება არა მხოლოდ რთულ მარშრუტებზე, არამედ საბანაკე ადგილებში.

ცხრილი 01. საფრთხეები ტურისტულ მარშრუტზე

ობიექტური			
მიწისძვრა	გარეული ცხოველები	კლიმატური მოვლენები	წყალდიდობა
სუბიექტური			
შეცდომები ტურის ორგანიზებისა და განხორციელებისას	ტურისტთა შესაძლებლობების არასწორი განსაზღვრა	უვარგისი და მარშრუტისთვის შეუფერებელი აღჭურვილობა	კრიმინალური მდგომარეობა

ზვავის, ქვათაცვენის, მენყერის გამომწვევი ობიექტური ბუნებრივი ფაქტორები

- ფერდის დახრა
- კლიმატური წინაპირობა
- ტემპერატურის მატება და ვარდნა

ზვავის, მენყერის, ქვათაცვენის და სხვა საფრთხის გამომწვევი ადამიანური ფაქტორები:

- ხმამაღალი საუბარი
- დისტანციის დარღვევა
- მკვეთრი მოძრაობები
- დახტომა
- დაცემა
- არასწორ ადგილას გაჩერება
- რეზონანსი

ადამიანის მოქმედებით გამოწვეული საფრთხეები:

- სალაშქრო აღჭურვილობის არასწორი გამოყენება
- ბანაკის არასწორი მოწყობა
- ფერდზე ასვლის და დაშვების წესების უგულვებელყოფა
- ჯგუფის წევრის დაზიანება
- ფიზიკური და ტექნიკური მოუმზადებლობა
- ჯგუფის შეყოვნება
- სახიფათო ფერდზე დიდხანს გაჩერება
- წაქცევა და სხეულის დაზიანება

უსაფრთხოების გასათვალისწინებელი აქტივობები მოგზაურობის დაგეგმვისას:

გიდის თანხლებით მოგზაურობა

- უფრო საინტერესო მოგზაურობა, ბუნების უკეთ შემეცნება;
- იგი ფლობს მოგზაურობისას დასაცავ სტანდარტებს და უზრუნველყოფს ტურისტის უსაფრთხოებას;

დამოუკიდებლად მოგზაურობა

- სამოგზაურო არეალის შესახებ ინფორმაციის ფლობა;
- შესაბამისი აღჭურვილობა;
- ამინდის პროგნოზირება;
- ექსტრემალურ სიტუაციებში მოქცევის წესების გაცნობა;

ახალი მარშრუტის მოკვლევისთვის დამოუკიდებლად მოგზაურობის დასაგეგმად აუცილებელი კომპონენტები:

- გაიგეთ ინფორმაცია, ხომ არ მოქმედებს რაიმე განსაკუთრებული წესები იმ ადგილას, სადაც გეგმავთ მოგზაურობას (მაგალითად დაცული ტერიტორიები);
- დაგეგმეთ მოგზაურობა თქვენი დროითი და ფიზიკური რესურსების გათვალისწინებით;
- აუცილებლად შეამოწმეთ ამინდის პროგნოზი (www.meteo.gov.ge, www.meteoblue.com);
- ნუ იმოგზაურებთ მარტო, გაითვალისწინეთ, რომ მოგზაურობა შედარებით უსაფრთხოა ჯგუფურად;
- სამოგზაუროდ წასვლამდე აუცილებლად გააფრთხილეთ ახლობლები თქვენი მოგზაურობის განრიგის შესახებ: რა ადგილების მონახულებას აპირებთ, რა არის თქვენი დანიშნულების ბოლო პუნქტი და როდის გეგმავთ დაბრუნებას.

უსაფრთხოების ნორმები საველე პირობებში გადაადგილებისას:

- იარეთ მოკლე, ზომიერი ნაბიჯებით, დაადგით მთელი ტერფი;
- ისუნთქეთ ცხვირით, ღრმად - ნაკლებად მოგწყურდებათ და არ დაიქანცებით;
- მცირე შესვენების დროს არ დაჯდეთ, თორემ უფრო მალე დაიღლებით;
- წყალი მხოლოდ დასვენებისას დალიეთ;
- სველი ტანსაცმელი ტანზე არ შეიშროთ;
- ზურგჩანთა მოიხსენით შესვენების შემდეგ, მიწაზე დადეთ ჯიბეების მხრით;
- თანამგზავრს ნივთი აუცილებლად ხელში მიეცით;
- გადაადგილებისას მწყობრში სუსტებმა იარონ წინ, ძლიერებმა კი უკან;
- მცირე შესვენების თუ ღამისთევის ადგილი გასვლის წინ კარგად დაათვალიერეთ, რომ არაფერი დაგრჩეთ;

- არ დატოვოთ ცეცხლი ჩაუქრობელი. დაიცავით სისუფთავე;
- ბუჩქნარში სიარულისას იარეთ ფრთხილად, რადგან თქვენი სხეულის მიერ მოქნეულმა ტოტმა შეიძლება დააზიანოს თქვენს უკან მომავალი. დაიცავით დისტანცია;
- ზუსტად დაიცავით ყველა წესი კონკრეტული ბუნებისა და ისტორიული ძეგლების დაცვის შესახებ.

როგორ ვიმოქმედოთ ექსტრემალურ სიტუაციებში:

112 არის შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი, სადაც დარეკვა შესაძლებელია 24 საათის განმავლობაში, თუ თქვენ გესაჭიროებათ საპატრულო პოლიციის, სახანძრო-სამაშველო, ან სასწრაფო-სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.



112-ში დარეკვა შესაძლებელია საქართველოში მოქმედი ყველა მობილური სატელეფონო ქსელიდან მაშინაც, თუ მობილური ტელეფონი ორმხრივად არის გათიშული ან მობილურ ტელეფონში არ დევს სიმ-ბარათი!!!

გარემოს უსაფრთხოება ტურისტული მარშრუტის მიმდინარეობისას:



საკვების მომზადება

- მცირე რაოდენობით ბუნებრივი აირის ან ბენზინის გამოყენება;
- არარეკომენდირებულია შეშის გამოყენება;
- საკვების მომზადებისას აქცენტი სალათებსა და სწრაფი მომზადების კერძებზე უნდა გაკეთდეს;
- სასურველია მრავალჯერადი მოხმარების ქურჭელის გამოყენება, მათი ცხელი წყლით გარეცხვა წყლის ობიექტიდან 50 მეტრში და ნაკლები სარეცხი საშუალებების გამოყენება (P-ს გარეშე); დაბინძურებული წყლის მიწაში გადაღვრა ნიადაგში ფილტრაციისთვის.

ნარჩენების უტილიზება

- ცხიმიანი ნარჩენების ჩვრით მოცილება გაუმდინარ წყალში მოხვედრის თავიდან აცილების მიზნით;
- მინის, პოლიეთილენის და ლითონის ნაწარმის მოგზაურობისას შეგროვება და გატანა (არ შეიძლება მათი დანვა); რეკომენდირებულია მუყაოს ან ქაღალდის ნივთების გამოყენება.

ტრანს- პორტირება

- მარშრუტის გავლის დროს მიწისზედა ტრანსპორტით გადაადგილების შესაძლებლობის შემცირება, დაბინძურების, მცენარეული საფარის დაზიანების და ხმაურის თავიდან აცილების მიზნით;
- ტრანსპორტით ღამე გადაადგილებისგან თავის შეკავება (განსაკუთრებით დაცულ ტერიტორიებზე).

ჰიგიენური ნორმები

- ბუნებაში პრინციპი "Free disposal" გამოყენებულ შეიძლება იქნას (ქალები მარცხნივ, კაცები მარჯვნივ) ტურისტების მიერ მხოლოდ მცირედ მონახულებად ადგილებში;
- წყლის ობიექტებიდან დაშორება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 100 მეტრს;
- ფეკალიების დამარხვა არანაკლებ 15 სმ სიღრმეზე ან ქვებით დაფარვა;
- გამოყენებული ქაღალდის დამარხვა ან/და ევაკუირება.

3. კვების ორგანიზება ტურისტულ მარშრუტზე



ტურისტების ენერგეტიკული დანახარჯების განსაზღვრა და კვების კალორიულობის დათვლა

ტურისტების ენერგეტიკული დანახარჯების და საკვების კალორიულობის გამოთვლისას საჭიროა გავითვალისწინოთ ალპინიზმის საერთაშორისო სამედიცინო კომისიის და სპორტული დიეტოლოგების რეკომენდაციები.

ენერგეტიკული დანახარჯები ლაშქრობაში ქვეითად გადაადგილებისას ზურგჩანთის გარეშე შეადგენს 6 კკალ/კგ/სთ (კილო კალორია, ადამიანის წონის ერთ კილოგრამზე ერთი საათის განმავლობაში) ხოლო 20 კგ ზურგჩანთით მოგზაურობისას 9კკალ/კგ/სთ



კვების უმნიშვნელოვანესი მიკროელემენტები

ნახშირწყლები მოგზაურობის დროს ენერგიის ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო. ორგანიზმი ნახშირწყლებიდან იღებს ენერგიას სამჯერ უფრო სწრაფად და ჟანგბადის უფრო ნაკლები დანახარჯებით ვიდრე ცხიმებისგან. ტურისტის კვების რაციონის ნახევარზე მეტს უნდა შეადგენდეს ნახშირწყლები. მათი მიღება აუცილებელია ყოველ 2 სთ-ში ფორმის სტაბილიზაციისთვის (სისხლში გლუკოზის დონისთვის). ამასთან ნახშირწყლები უნდა იყოს ადვილად ათვისებადი ფორმით, რათა არ გადატვირთონ კუჭი. ნახშირწყლების საუკეთესო წყარო - ჩირი, შაქარი, შოკოლადი და სხვ.

ცხიმები კვების ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტია, თუმცა ნაკლებ ძვირფასი, ენერგიის წყაროს მხრივ, რადგანაც ორგანიზმი მის ათვისებაში ხარჯავს დიდი რაოდენობით დროს და კალორიებს. ამასთან, ცხიმებისგან ენერგიის ასათვისებლად ორგანიზმი ხარჯავს ბევრ წყალს. ცხიმებისგან მიღებული კალორიების რაოდენობა დღიურ რაციონში არ უნდა აღემატებოდეს 30-35%-ს. ამიტომ არ არის განსაკუთრებული თვითმიზანი მათი მიღება - პროდუქტების და საკვების დიდი ნაწილი ისედაც შეიცავს მათ. ცხიმების წყაროა - ძეხვეული.

ცილები ძალიან მნიშვნელოვანია ფიზიკური ფორმის აღსადგენად. აუცილებელია მიექცეს ყურადღება მცნარეული და ცხოველური ცილების ბალანსირებულად მიღებას. სამწუხაროდ ვეგეტარიანული რაციონი ვერ ფარავს ორგანიზმისთვის აუცილებელ ამინომჟავების მოთხოვნილებებს. ამიტომ გამოსავალი შეიძლება ინახოს მათი ტაბლეტების სახით მიღებაში. ცილებისგან მიღებული კალორიების რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს 10-20%-ს. ცილების წყარო- ხორცი, კვერცხი, რძე, ყველი, ზოგიერთი ბოსტნეული, თხილი და სხვ.

ვიტამინები არეგულირებენ ორგანიზმის მოქმედების სისტემას და იცავენ მას. ვიტამინები ორგანიზმში ხვდება ახალი ქორფა პროდუქტებიდან, თუმცა მათი მიღება მულტივიტამინური კომპლექსის სახით აუცილებელია არაბალანსირებული კვების პერიოდში, როდესაც ორგანიზმი ძირითადად ღებულობს ისეთ საკვებს რომელშიც ვიტამინების შემცველობა დაბალია (კონსერვირებული პროდუქტი), ხოლო ექსპედიცია გრძელდება ერთ კვირაზე მეტ ხანს.

უჯრედისი სასარგებლოა კუჭ-ნაწლავისთვის, განსაკუთრებით მაღალ-მთიანეთში და ორგანიზმის კვების და მოგზაურობის ახალ რეჟიმზე გადასვლისას. მისი წყაროა სხვადასხვა სახის ბოსტნეული: ნიორი, ხახვი, ქარხალი და სხვ.

წყალი ორგანიზმში ასრულებს მრავალ მნიშვნელოვან ფუნქციას, მათ შორის გულის რეგულაციის მოქმედებას. გადაადგილებისას, როდესაც ფიზიკური დატვირთვა დიდია, ხდება საათში 2 ლიტრამდე წყლის დაკარგვა. წყალი გამოიყოფა შარდვისას, ოფლის გამოყოფისას, სუნთქვისას, მაგრამ მისი დიდი რაოდენობით დაკარგვა ხდება დიარეის დროს (8ლ დღეში). წყლის დანაკარგი მუდმივად უნდა აღვადგინოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ტურისტს შეიძლება შეექმნას ჯანმრთელობის მრავალი პრობლემა. ამიტომ გიდმა ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ მათ ზურგჩანთაში მარშრუტის დროს მუდმივად იყოს სითხით სავსე თერმოსი. წყალში არსებული მიკროელემენტები აუცილებელია, როგორც ამგები მასალა ძვლებისთვის, კბილებისთვის, ჰორმონებისთვის, ჰემოგლობინისთვის და სხვ.

კვების რეჟიმი

ყველაზე მართებული კვების რეჟიმი მოგზაურობის დროს არის ოთხჯერადი კვება, საკვების მიღებას შორის ინტერვალი 4-5 სთ.

კვების რეჟიმის და მენიუს შედგენისას აუცილებელია მივყვეთ შემდეგ წესებს:

- რაც შეიძლება მეტი მრავალფეროვნება დღიურ მენიუში;
- დილის გასვლის წინ რეკომენდებულია საუზმე, სითხის საკმარისი რაოდენობის მიღებით;
- ქვეითად სიარულის დროს ყოველ ორ საათში მოაწყეთ მცირე შესვენება, რომლის დროსაც ტურისტებს შეეძლება მცირედით გამოიკვებონ და დალიონ. არანაირი ალკოჰოლი!
- სასიარულო დღის დასასრულს მალევე გამოკვებით ტურისტები მსუბუქი საკვებით.

მარშრუტზე გასვლის წინ ტურისტებს ვურიგებთ ინდივიდუალურ ლანჩ-პაკეტებს, რომელშიც მოთავსებულია ნახშირწყლებით მდიდარი საკვები (შოკოლადი, კანფეტი, ჩირი და სხვ) და ვავსებთ მათ ინდივიდუალურ თერმოსებს ჩაით, ყავით, ადუღებული წყლით და ა.შ

კვების მენიუ

სტანდარტული მენიუ დგება ტურისტული სეზონის დაწყების წინ, ყოველი ტურისტული ჯგუფის მომსახურების პროგრამის გათვალისწინებით, ერთი კვირის მანძილზე დღეების მიხედვით. იმ შემთხვევაში როცა მარშრუტის ხანგრძლივობა ერთ კვირაზე მეტია, ხდება ტიპიური მენიუს გამეორება.

საუზმე

- ერთი მხრივ უნდა იყოს მაღალკალორიული, რათა შექმნას დღის განმავლობაში საჭირო ენერგეტიკული ბალანსი, მეორე მხრივ კი მრავალ ტურისტს არ შეუძლია ნოყიერად საუზმობა. საუზმეზე უნდა მოდიოდეს დღიური კალორიულობის 30%.

სადილი

- იგი უნდა ახდენდეს დახარჯული ენერგეტიკული დეფიციტის შევსებას და უნდა შეიცავდეს საერთო კალორიულობის 30%.

ვახშამი

- აუცილებელია მომზადდეს ისე, რომ ტურისტებმა შეძლონ დღიური დანახარჯის შევსება და მოემზადონ მეორე დღის მოგზაურობისთვის.

საფეხმავლო ტურისტული მარშრუტების გეგმარებისა და მარკირების ერთიანი სტანდარტი

ტექნიკური რეგლამენტი “საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის შესახებ” ადგენს მოთხოვნებსა და ნორმებს საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის მიმართ. რეგლამენტი არის სავალდებულოდ შესასრულებელი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სანარმოებისათვის (განურჩევლად სანარმოს ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმისა).

საფეხმავლო ბილიკი. ბუნებრივ გარემოში გაკვალული ან გაუკვალავი საფეხმავლო გზა, რომელიც შესაძლოა გადიოდეს რელიეფის სხვადასხვა ფორმაზე. ბილიკი შეძლებისდაგვარად უნდა სცდებოდეს სამანქანო გზებს და მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებს, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ისინი წარმოადგენენ დანიშნულების ადგილებს.

მარტივი

- არ მოითხოვს განსაკუთრებულ ფიზიკურ მომზადებას, სალაშქრო აღჭურვილობასა და უნარ-ჩვევებს. მარტივი სირთულის ბილიკის გავლა შესაძლებელია ჩვეულებრივი სპორტული ფეხსაცმლით.

საშუალო

- ხასიათდება შედარებით უსწორმასწორო ლანდშაფტით, გაკვალული ან გაუკვალავი მონაკვეთებით, მცირე დახრის ფერდები, სადაც შესაძლებელია საჭირო გახდეს ხელების ან სალაშქრო ჯოხის გამოყენება ბალანსის შესანარჩუნებლად. ბილიკზე გადაადგილებისთვის საჭიროა ძირითადი სალაშქრო აღჭურვილობა და სალაშქრო უნარ-ჩვევები. ასევე რეკომენდირებულია კოჭის დამცავი სალაშქრო ფეხსაცმლის გამოყენება.

რთული

- ხასიათდება რთული უსწორმასწორო მონაკვეთებით. მოითხოვს კარგ ფიზიკურ მომზადებასა და სალაშქრო უნარ-ჩვევებს. რთული ბილიკის მცირე მანძილებზე შესაძლოა სეზონურად გვხვდებოდეს თოვლი ან ყინულოვანი მონაკვეთები, გაუკვალავი, ვიწრო და სახიფათო გადასასვლელები. ბილიკის ამ მონაკვეთების გავლა შესაძლოა მოითხოვდეს სპეციალურ სამთო-საველე აღჭურვილობას (თოკი, წრიაპი, სალაშქრო ჯოხი და/ან სხვა). მოგზაური უნდა აცნობიერებდეს ბილიკზე არსებულ საფრთხეებს და სწორად აფასებდეს საკუთარ ფიზიკურ შესაძლებლობებს. სასურველია ფლობდეს ორიენტაციისა და ნავიგაციის უნარ-ჩვევებს.

საფეხმავლო მარშრუტი. საფეხმავლო ბილიკით შექმნილი მონაკვეთი, რომელსაც გააჩნია დანიშნულების ადგილები. მარშრუტი იყოფა სამ კატეგორიად: წრიული მარშრუტი, ცალმხრივი მარშრუტი და გამჭოლი მარშრუტი. მარშრუტები შესაძლოა უერთდებოდნენ, კვეთდნენ ან ნაწილობრივ ემთხვეოდნენ ერთმანეთს.

წრიული

- წრიული მარშრუტი იწყება და სრულდება ერთიდაიგივე დანიშნულების ადგილას;

ცალმხრივი

- ცალმხრივი მარშრუტი იწყება და ბრუნდება ერთიდაიგივე დანიშნულების ადგილას. წრიულისგან განსხვავებით ცალმხრივი მარშრუტი უმეტესად იმეორებს ერთიდაიგივე გზას;

გამჭოლი

- გამჭოლი მარშრუტი იწყება და სრულდება ორ სხვადასხვა დანიშნულების ადგილას და მისი დაწყება შესაძლებელია ორივე მიმართულებიდან.



რეკომენდაციები მარშრუტის დაპროექტებისას

- დამპროექტებელმა მოსანიშნი საფეხმავლო ბილიკი უნდა შეარჩიოს ისე, რომ გაითვალისწინოს მისი კულტურული, ბუნებრივი და ტურისტული პოტენციალი (მომსახურების ობიექტების ჩათვლით);
- ბილიკის დაპროექტება და მონიშვნა უნდა მოხდეს ისეთი გზით, რომ მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე;
- საფეხმავლო ბილიკი სასურველია უკავშირდებოდეს ტურისტული მარშრუტების არსებულ ქსელს და/ან გააჩნდეს საფეხმავლო ბილიკების ერთიან ქსელში ჩართვის პოტენციალი;
- საფეხმავლო მარშრუტი სასურველია იწყებოდეს და სრულდებოდეს დასახლებულ პუნქტში ან მის სიახლოვეს;

- საფეხმავლო ბილიკის მომკვლევ/დამპროექტებელი ვალდებულია გაითვალისწინოს ბილიკზე არსებული რისკები, როგორცაა ბუნებრივი საფრთხეები (მეწყერი, ქვათა ცვენა, ბილიკის ჩამოშლა წვიმის დროს, წყალმოვარდნა;
- საფეხმავლო ბილიკის დამპროექტებელმა, ბილიკის პროექტირებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს გზაჯვარედინებს, სადაც ბილიკზე აცდენის/დაკარგვის საფრთხე იზრდება;
- საფეხმავლო ბილიკები სასურველია არ კვეთდეს ინდუსტრიულ, სატრანსპორტო, სახიფათო მონაკვეთებსა და მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებს, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ისინი წარმოადგენენ - დანიშნულების ადგილებს;
- მესაკუთრის წერილობითი ნებართვის გარეშე დაუშვებელია ბილიკის გაყვანა კერძო ან სახელმწიფო საკუთრებაზე;

მონიშვნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა

საფეხმავლო ბილიკების მონიშვნისთვის გამოიყენება შემდეგი სახის ინფრასტრუქტურა, საჭიროების მიხედვით:

ა) ნიშნული;

ბ) ნიშნულის ბოძი;

გ) მანიშნებელი დაფა;

დ) საინფორმაციო ნიშანი;

ე) საინფორმაციო დაფა.




შენიშვნა: საფეხმავლო ბილიკების მონიშვნა ხორციელდება მოძრაობის ორივე მიმართულებისთვის.

ნიშნული


ნიშნული არის ორი ფერის საღებავით შესრულებული სამზოლიანი ნიშანი, რომელიც გამოიყენება მარშრუტის მოსანიშნად, საფეხმავლო ბილიკის მიმართულების (სვლა-გეზის) დასადასტურებლად. ის ასევე იძლევა ინფორმაციას ბილიკის სირთულის კატეგორიის შესახებ.

ბილიკის მოსანიშნად გამოიყენება ორი სახის ნიშნული: დამადასტურებელი და მოხვევის ნიშნული. თითოეული ნიშნული გამოისახება სამი ზოლით, რომელთაგან გარე ზოლები თეთრი ფერისაა, ხოლო შუა ზოლის ფერი შეესაბამება ბილიკის სირთულის კატეგორიის ფერს: ყვითელი (მარტივი), წითელი (საშუალო), ლურჯი (რთული).



ნიშნულების განთავსების წესები

- საფეხმავლო ბილიკი უნდა მოინიშნოს ორმხრივად ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით და თითოეული ნიშნული მხოლოდ ერთ მიმართულებას უნდა მიუთითებდეს;
- ნიშნული უნდა განთავსდეს ყველაზე თვალსაჩინო ადგილას ადამიანის მოძრაობის შემხვედრ წერტილში. ნიშნულები შეიძლება განთავსდეს: ხეზე, ლოდზე, კლდეზე, ქვაყრილზე, ნიშნულის ბოძზე და ა.შ;




- თუ ბილიკის არეალში არ მოიპოვება ნიშნულისათვის შესაფერისი ზედაპირი, საჭიროა ქვყარილების მოწყობა, რომლებზეც შემდგომ დაიხატება ნიშნული. აუცილებელი პირობაა, რომ ქვყარილები მოწყობილი იყოს მოზრდილი ზომის ქვებისგან, მყარად და საიმედოდ (რათა დაცული იყოს მარტივად ჩამოშლისგან);
- ნიშნული ბილიკის მიმართ უნდა ქმნიდეს არა უმცირეს 45°-იან კუთხეს (უკეთესი ხილვადობისთვის);

ნიშნულების განთავსება ხდება საფეხმავლო ბილიკის გასწვრივ, ხოლო ნიშნულებს შორის მანძილი უნდა შეადგენდეს 250 მეტრს, თუმცა ეს მანძილი შეიძლება შემცირდეს ბილიკის სპეციფიკიდან (რთული რელიეფი, გაუკვალავი ტერიტორიები, გაშლილი ლანდშაფტი, გზაჯვარედინები, არასაკმარისი ხილვადობა და ა.შ) და მონიშვნის საჭიროებიდან გამომდინარე;

მანიშნებელი დაფა

საორიენტაციო და საინფორმაციო მიზნით შექმნილი დაფა, რომელიც გამოიყენება მარშრუტზე სვლა-გზის სისწორის დასადასტურებლად და მიუთითებს დანიშნულების ადგილის ან ადგილებისკენ მარშრუტის ორივე მიმართულებისთვის. მანიშნებელი დაფები მაგრდება მათთვის განკუთვნილ ბოძებზე.

დაფაზე დასატანი აუცილებელი ინფორმაცია:



- დანიშნულების ადგილის ან ადგილების სახელწოდებები;
- დანიშნულების ადგილამდე დასაფარი ზუსტი მანძილი;
- დანიშნულების ადგილამდე მისასვლელი დრო;
- საფეხმავლო ბილიკის სირთულის აღმნიშვნელი ფერი/ფერები;
- მოლაშქრის გამოსახულებიანი პიქტოგრამა.

მანიშნებელი დაფების გამოყენების და განთავსების წესები

ბილიკების ინფრასტრუქტურული მოწყობისას, მანიშნებელი დაფების განთავსება ხდება:

- მარშრუტის საწყის-საბოლოო დანიშნულების ადგილებში (ადგილი სადაც იწყება და სრულდება მარშრუტი. მანიშნებელი დაფები მონტაჟდება მარშრუტის საინფორმაციო დაფების სიახლოვეს);
- სხვადასხვა მონიშნული მარშრუტების გზაჯვარედინებზე. ასეთ დროს პროექტის ავტორი რომლის მარშრუტიც კვეთს ან უერთდება უკვე არსებულ მონიშნულ მარშრუტს ვალდებულია ამ წერტილში განათავსოს მანიშნებელი დაფები როგორც მისი, ასევე გადაკვეთილი მარშრუტის მიმართულებებისთვის;
- უღელტეხილებზე;
- მარშრუტით გათვალისწინებულ საბანაკე ადგილებზე ან მათ სიახლოვეს;
- მარშრუტის გასწვრივ და დანიშნულების ადგილებში საჭიროებისამებრ (მაგ. ისეთ ადგილებში საიდანაც დაფის არ არსებობის შემთხვევაში მოგზაურმა შესაძლოა გააგრძელოს მოძრაობა მარშრუტით გაუთვალისწინებელი მიმართულებით, რთულ გადასახვევებზე, გზაგასაყარებზე და სხვა).



მანიშნებელი დაფების ბოძებზე განთავსების წესები


მანიშნებელ დაფებზე, ბილიკის სირთულის კატეგორიის აღმნიშვნელი ფერი/ფერები გამოისახება შემდეგი პრინციპის მიხედვით: მანიშნებელი დაფების განკუთვნილ ყველა ბოძზე სავალდებულოა განთავსდეს მანიშნებელი დაფები რომლებიც მიუთითებენ:

- მარშრუტის უახლოესი დანიშნულების ადგილებისკენ, ორივე მიმართულებით;
- მარშრუტის საწყის-საბოლოო დანიშნულების ადგილებისკენ ორივე მიმართულებით;
- მარშრუტის მთავარი დანიშნულების ადგილისკენ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.


მარტივი კაბეშორის მარშრუტი



საშუალო კაბეშორის მარშრუტი



რთული კაბეშორის მარშრუტი




ბოძებზე მანიშნებელი დაფების განთავსება ხდება დანიშნულების ადგილებამდე გასავლელი მანძილების მიხედვით. დაფების რიგითობა განისაზღვრება მანძილით უახლოესიდან უშორესი დანიშნულების ადგილისკენ;

შენიშვნა: მიმართულების მანიშნებელი ისრის ფერი მიუთითებს მარშრუტის მოცემული მონაკვეთის სირთულეს.

ძირითადი საველე აღჭურვილობა

ზურგჩანთა. უნდა იყოს გამძლე ქსოვილისაგან დამზადებული, წყალგაუმტარი, მაგარი, საიმედოდ მიმაგრებული ჩარჩოზე, ადვილად სარეგულირებელი თასმებით. ჩარჩო უნდა იძლეოდეს საშუალებას, რომ ტვირთსა და თქვენს ზურგს შორის ჰაერმა იმოძრაოს, რაც ამცირებს ოფლიანობას. მნიშვნელოვანია სამხრეები იყოს რბილი, რადგან მოძრაობისას არ დაგიზიანოთ მხრები.



როგორ ჩავალაგოთ სწორად ზურგჩანთა

რაც უფრო ახლოა ბარგის სიმძიმის ცენტრი ადამიანის სხეულთან, მით უფრო იოლია მისი ტარება. ამის გათვალისწინებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზურგჩანთის ფორმას და მისი დაჭიმვის სისტემას. სრული კომფორტისთვის სასურველია, რომ ჩანთა იყოს შეძლებისდაგვარად ვიწრო. ამასთან იგი სწორად უნდა იყოს ჩალაგებული და მოჭიმული.

A წვრილმანი ნივთები მოსახერხებელია განვითავსოთ ჩანთის ზედა ნაწილში, საიდანაც იოლია მათი ამოღება.

B საძილე ტომარა ტანისამოსი და სხვა მსუბუქი ნივთები სასურველია ჩავალაგოთ ჩანთის ქვედა განყოფილებაში და ზურგიდან რაც შეიძლება შორს.

C მძიმე ნივთები ზურგთან ახლოს, მხრების სიმაღლეზე.

ჩაალაგეთ ისე, რომ თითოეული ნივთის ადგილ-მდებარეობა გახსოვდეთ. თუ ნესტია მოსალოდნელი, ნივთები პოლიეთილენის პარკებში დაანაწილეთ. კარავი და მძიმე აღჭურვილობა, ზევიდან იდება, მაგრამ ისე, რომ ჩანთა არ გამოვიდეს ძალიან მაღალი. ეს სიძნელეებს შეგიქმნით ქარის დროს წონასწორობის დაცვაში. ადვილად ფუჭებადი საკვები სპეციალურ კონტეინერებში ინახება. ჩალაგებისას გაითვალისწინეთ, რომ ზურგთან შეხების მხარეს ზურგჩანთაში რბილი ნივთები უნდა იყოს. ძირში უნდა ჩალაგდეს ყველაზე მსუბუქი ნივთები. მათ ზემოდან უნდა დაეწყოს შედარებით მსუბუქი, მაგრამ დიდი მოცულობის მქონე პროდუქტი, ხოლო მხრების სიმაღლეზე ეცადეთ განალაგოთ ყველაზე მძიმე ნივთები. ნივთები, რომლებიც გზაში შეიძლება დაგჭირდეთ ზურგჩანთის გარე ჯიბეში ჩადეთ. ამასთან, ნივთები კომპაქტურად უნდა ეწყოს, რომ არ იყანყალოს.

კარავი. ეკოტურისტულ მარშრუტზე ხშირად ღამისთევა კარავში ხდება, ამიტომ მნიშვნელოვანია მისი შერჩევა და ექსპლუატაციის წესების ცოდნა. კარავი ატმოსფერული ნალექებისგან დაცული უნდა იყოს ტენტის საშუალებით. იგი კარგად უნდა „სუნთქავდეს“ და ჰქონდეს ქარდამცავი თვისებებიც. სასურველია, რომ კარავი დამუშავებული იყოს წყლისამრიდი ფენით. ეს დაგიცავთ კონდენსაციისგან. უკეთესია ნეილონის ქსოვილისაგან დამზადებული კარავი. იგი უფრო რბილია და ნაკლებად იხევა. კარავის ძირი მზადდება არმირებული პოლიეთილენისაგან. ძირი უნდა იყოს დამუშავებული PU-თი. PU = 3000 უძლებს სხეულის წნევას, PU – 5000 ფეხით დაწოლას, ხოლო PU – 10000 იდაყვით დაწოლას. კარავის რკალები მზადდება ბოჭკოვანიმინისადაეპოქსიდური ფისისგან ანალუმინის შენადნობებისგან. გავრცელებული მარკებია 7075, 7001, რომლებიც მაღალი ხარისხის კარვებში გამოიყენება. 7178 და 6061 ითხოვს ადონირებას. კარგ კარვად ითვლება ის, რომლის წონაც ნაკლებია 1 კგ-ზე, თუმცა ექსტრემალური კარავი 1,8 – 2,2 კგ-ს იწონის. კარვების კლასიფიკაცია კარვები შეიძლება იყოს: Alpinextreme, Salewa Classic, Five continents, Four Seasons, Three Seasons, Two Seasons

- Four Seasons (ოთხი სეზონი) – ყველა სეზონზეა გათვლილი. იკერება ძალიანმტკიცემასალისაგან, რომელიც დანამატებითაა გამაგრებული. იყენებენ ზამთრის სერიოზულ ექსპედიციებში. აქ გამოყენებულია საყრდენი რკალების დიდი რაოდენობა (დურალუმინისგან დამზადებული). კარავს აქვს ქარიშხლისგან დამცავი ფენა და სპეციალური მოსაჭიმები. ეს კარვები ჩვეულებრივზე დაბალია. შესასვლელი აღჭურვილია მომჭიმავი მოწყობილობით.
- Three Seasons (სამი სეზონი). იკერება მტკიცე მასალისაგან. განკუთვნილია ზაფხულის, გაზაფხულისა და შემოდგომის სეზონისთვის. გამოიყენება საბაზო ბანაკებში.
- Two Seasons (ორი სეზონი) – განკუთვნილია თბილი ამინდის დროს გამოსაყენებლად. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს ვენტილაციას. შესასვლელში მწერებისგან დამცავი ბადეებია.

საზაფხულო – ეს არის ყველაზე მარტივი, „საპლაჟე“, ცალფენიანი კარვები; ძალზე მსუბუქია (1კგ) და იცავს მცირე წვიმისა და ქარისგან, ასევე მწერებისგან.

ტენტი, ანუ კარვის გარე საფარი, ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან უამინდობის პირველ დარტყმას ის იღებს. ტენტი კეთდება ორი მასალისაგან: პოლიესტერისა (Polester) და ნეილონისგან. ნეილონი მზის დასხივების შედეგად კარგავს სიმტკიცის 40 %-ს წელიწადში. პოლიესტერი კი უფრო მტკიცეა. გარდა ამისა, ნეილონი წვიმაში იწელება და საჭიროებს დამატებით დაჭიმვას. ტენტის წყალგაუმტარობის გასაძლიერებლად ქსოვილს დამატებით ამუშავებენ პოლიურეთანული ფენით (PU), რომელსაც ქსოვილს შიგნიდან უსვამენ. PU-ს მაჩვენებელი ოთხნიშნა რიცხვი უჩვენებს წყალგაუმტარობას. 3000 და მეტი მაჩვენებელი ნიშნავს, რომ ტენტი გაუძლებს ნებისმიერი ინტენსივობის წვიმას.

PU/SI მაჩვენებელი ნიშნავს, რომ ქსოვილზე წასმულია PU-სთან ერთად სილიკონიც, რაც ქსოვილს ანიჭებს მდგრადობას.

W/R ფენა, რომელსაც გარედან უსვამენ ქსოვილს და აქვს წყლისამრიდი ფუნქცია.

RIP STOP – ასე აღნიშნავენ სპეციალურად ნაქსოვ ქსოვილს, რომელიც ტენტს ანიჭებს განსაკუთრებულ სიმტკიცეს.

საძილე ტომარა. საძილე ტომრის ფუნქციაა, ღამით მოგზაურს შეუნარჩუნოს ტემპერატურა. საძილე ტომრებზე ჩვეულებრივ მითითებულია „კომფორტის ტემპერატურა„ და „ექსტრიმის ტემპერატურა„. ეს არის ტემპერატურა, რომელიც არის ღია ცის ქვეშ. „კომფორტის ტემპერატურა“ ნიშნავს, რომ საძილე ტომარაში მთელი ღამე სიცხე არ იგრძნობა. „ექსტრიმის ტემპერატურა“ არის ყველაზე დაბალი ტემპერატურა, რომელიც უზრუნველყოფს 6 სთ. არაკომფორტულ ძილს.

ეს მონაცემები რეგულირდება ევროპული EN 13537 სტანდარტით (მიღებულია 2002 წ.). თუ საშუალო აგებულების ქალის კომფორტის ტემპერატურა + 22-დან + 4° მდეა, მაშინ მამაკაცისთვის ეს ნორმებია + 22° დან -1° მდე. საძილე ტომარას ექნება წარწერა – 1°, რაც მიუთითებს კომფორტის ტემპერატურის ზღვარს. საძილე ტომრის იდეალური შემავსებელია წყლის ფრინველების ბუმბული: ბუმბულის ხარისხის მაჩვენებელია FP (Fill Power), რომელიც ელასტიურობას უჩვენებს (მოცულობის აღდგენის უნარი შეკუმშვის შემდეგ). კარგი FP მაჩვენებელია 500-დან, მაქსიმუმია 800.

ბუმბულის საძილე ტომრის უარყოფითი მხარე ისაა, რომ დასველებული ძნელად შრება. გავრცელებულია ხელოვნური შემავსებლები – „სინტეპონი“ და „ხოლოფაიბერი“. ასეთი საძილე ტომარა უძლებს -5° – -10° სიცივეს და იწონის 1,1 – 2,3 კგ-ს. მისი დადებითი მხარეა სწრაფად გაშრობის უნარი. უარყოფითია ის, რომ მალე ითელება, იტკეპნება, რაც აქვეითებს თბოიზოლაციის დონეს. ჩვეულებრივ, 2 კგ-იანი საძილე ტომრები ხელოვნური შემავსებლით გათვლილია – 25° -ზე, ხოლო მაღალხარისხიანი და ბუმბულიანი – -35° -ზე.

საძილე ტომრის ტიპები: გარეგნული ფორმით საძილე ტომარა შეიძლება იყოს ტომრის ან საბნის ფორმისა. სეზონების მიხედვით: საზაფხულო, საზამთრო და სეზონთშორისი. საზაფხულო გათვალისწინებულია $+8$ -მდე გარე ტემპერატურის შემთხვევაში, ზამთრისა 3-შრიანია ან ბუმბულისა (-45 -მდე ტემპერატურის შემთხვევაში). სეზონთშორისს აქვს 2-3 ფენა გამათბობელი შრე (გათვალისწინებულია -17 -მდე ტემპერატურისთვის) და სიცივეში კარავში თუ საძილე ტომარაში გროვდება დიდი რაოდენობით კონდენსატი, ამიტომ 2-3 ღამისთვის შემდეგ ბუმბულის საძილე ტომარას გაშრობა ესაჭიროება. საძილე ტომარა შეიძლება იყოს შეწყვილებადი და არაშეწყვილებადი. შეწყვილებადი საძილე ტომრების შესაკრავი ელვები შეიძლება ისე შეუღლდეს, რომ მიიღოთ დიდი ტომარა, რომელშიც 2-3 ადამიანი ეტევა. შეწყვილებადის დადებითი მხარე ისაა, რომ მასში უფრო თბილა, ვიდრე ინდივიდუალურში და წონაშიც იგებთ (3 კაცს ორი შეწყვილებადი საძილე ტომარა მოაქვს). შეწყვილებად საძილე ტომარას ეტიკეტზე ახატია 2 საძილე და აწერია ასოები L და R (მარცხენა და მარჯვენა). საძილე ტომრების გამათბობელი შრეები მზადდება სინტეპონისგან, ბუმბულისგან ან საფირმო მასალისგან. სინტეპონი არ არის ძვირი, მსუბუქია, მაგრამ მალე ფუჭდება და კარგავს თბოიზოლაციურ თვისებებს. როგორც წესი, საძილე ტომრებს მინიშნებული აქვთ 3 ტემპერატურული მაჩვენებელი: მაქსიმუმის, ოპტიმუმისა და ექსტრემალურის. მაქსიმუმია ის, რომლის დროსაც ადამიანს კომფორტულად სძინავს გახსნილ საძილეში. ოპტიმალურია, როდესაც კომფორტულად სძინავს ბოლომდე შეკრულ საძილე ტომარაში; ხოლო ექსტრემალური უჩვენებს, თუ რომელ ტემპერატურამდე არ გაიყინება მგზავრი სასიკვდილოდ. საძილე ტომარაში შეიძლება დაიდინოთ ტანსაცმლით – იდეალურია თერმული თეთრეული,

რომელსაც შეუძლია სითბოს შენარჩუნებაც და სხეულის სინოტივის შეწოვაც (სხეული მშრალი რჩება). თერმული თეთრეული იკვრება ბოჭკოვანი სტრუქტურის მქონე პოლიესტერისგან. ასეთ თეთრეულს აქვს რამდენიმე შრე – ქვედა შრე იწოვს სინოტივს სხეულისგან, ზედა კი ხელს უწყობს აორთქლებას. საძილე ტომარაში შეიძლება ძილი ბამბის ქსოვილის სამოსშიც. არ შეიძლება ძილი ქურთუკში, რადგან ამ შემთხვევაში სითბოს ქურთუკი იჭერს და საძილე ტომარა „აღარ მუშაობს“. საძილე ტომარაში წოლისას სასურველია, მცირე მოცულობა იყოს დარჩენილი თავისუფლად, არ იყოს შემოჭერილი და არც ბევრი სივრცე – შესავსები.

რეკომენდაცია

- გაეცანით საძილე ტომრის ეტიკეტს და დაიცავით მითითებული წესები.
- დილით საძილე ტომარა უნდა განიავდეს.
- თუ დასველდა, სასწრაფოდ უნდა გაშრეს, მაგრამ არა ცეცხლთან, რადგან ხშირად საძილე ტომრის გარე შრე ნეილონია.
- არ გარეცხოთ ხშირად, რადგან მას აკლდება თბოტევადობა.
- არ გაწუროთ (თვითონ დაინრიტოს) და არ დააუთოოთ.
- არ შეინახოთ მშრალ და დაპრესილ მდგომარეობაში

2.3. გარემოს დაბინძურების შემცირების მეთოდები

ნებისმიერი ტურისტული საქმიანობა უნდა ეყრდნობოდეს გარემოს დაცვის პრინციპებს და ჰარმონიაში უნდა იყოს მასთან. მაშინ, როცა ამგვარი პრინციპების დაცვა მომგებიანია ყველასთვის და გამოიხატება სამი მთავარი კომპონენტით:

- დანახარჯების შემცირება;
- გარემოს დაცვით საქმიანობაში წვლილის შეტანა;
- იმიჯის გაუმჯობესება მომხმარებლის თვალში.

ენერგოეფექტურობა. ტურისტული ობიექტის განვითარებისას სასურველია შევამციროთ სითბოს დანაკარგები. კერძოდ, შესაძლებელია ფართოდ გამოიყენებოდეს თერმოიზოლაციური მასალები. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ მუქი ფერის კედლები და სახურავი მზეზე თბება უფრო სწრაფად, ვიდრე ღია ფერის, რაც ხელს უწყობს ენერგიისა და საწვავის დაზოგვას. ცნობილია, რომ ფანჯრებიდან სითბოს დაკარგვა ათჯერ უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე კედლებიდან, ამიტომ ორმაგი ფანჯრები აუცილებელია იმ საოჯახო სასტუმროებისთვის, რომლებიც შედარებით მკაცრი კლიმატური პირობების არეალში მდებარეობს. ფანჯრებზე დაკიდებული სქელი ნაჭრის ფარდები ცივ ამინდში ხელს უწყობს ოთახის სითბოს შენარჩუნებას, ხოლო სიცხეში აკავებს მზის სხივებს. მნიშვნელოვანია ოთახებში კარისა და ფანჯრების მდებარეობა. მათი განლაგება უნდა იყოს გათვლილი ადგილობრივი ქარების გაბატონებულ მიმართულებაზე, ორპირის თავიდან აცილების მიზნით.

საოჯახო სასტუმროში სტუმრის ოთახების გასათბობად ღია ცეცხლის გამოყენება (მაგალითად, ბუხარი) არარეკომენდებულია უსაფრთხოების მიზნით, თუმცა საერთო სივრცეში დასაშვებია ოჯახის წევრების ზედამხედველობის ქვეშ, ვინაიდან იგი ტურისტებისთვის საკმაოდ მიმზიდველია და გარკვეული სახის განწყობას ქმნის.

ოთახების, დერეფნებისა და სხვა ადგილების გასანათებლად მიზანშეწონილია თანამედროვე ენერგოეფექტური ნათურებისა და ავტომატური (სენსორული) განათების სისტემების გამოყენება.

ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში აუცილებელია ფართოდ იყოს გამოყენებული ენერგიის არატრადიციული წყაროები, როგორებიც არის: მზის სხივებისა თუ სხვა სახის ენერგია.

წყლის მოხმარება. ტურისტული ობიექტის საქმიანობის პროცესში მტკნარი წყლის მოხმარება მნიშვნელოვან მასშტაბებს აღწევს. შესაბამისად გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირების მიზნით გასათვალისწინებელია გარკვეული სახის რეკომენდაციები:

- წყლის მრიცხველების დაყენება; მათი გამოყენება წყლის მოხმარებას ამცირებს 20-25%-ით;
- ონკანებსა და საშხაპებზე წყლის ნაკადის შემამცირებელი საცობების დაყენება;
- ქურჭლის სარეცხი მანქანების გამოყენება; იგი მოიხმარს გაცილებით ნაკლებ წყალს, ვიდრე იხარჯება ხელით რეცხვისას. ამით დაიზოგება დაახლოებით 8 ათასი ლიტრი წყალი წელიწადში;
- ჩაიდანსა და მსგავსი ტიპის სხვა ქურჭელში იმდენი წყლის მოხმარება, რამდენიც საჭიროა სტუმრის მომსახურებისთვის;
- ონკანებისა და უნიტაზების მუდმივი კონტროლი; წყლის გაჟონვის კერების დაუყოვნებლივ შეკეთება.

ნარჩენების მართვა. საყოფაცხოვრებო ნარჩენების არასწორი უტილიზაცია მნიშვნელოვანი გარემოს დაცვითი პრობლემაა. ამ მხრივ, ტურისტული ობიექტის საქმიანობის პროცესში, აუცილებელია ნარჩენების რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა. ამ მიზნით შესაძლებელია სამი სახის არაორგანული ნარჩენის დახარისხება: ქაღალდის, პოლიეთილენისა და მინის. სასურველია გეოგრაფიული არეალის სიახლოვეს არსებული კომპანიის მოძიება, რომელიც მუშაობს მსგავსი ტიპის ნარჩენების მეორეულ გადამუშავებაზე.

მნიშვნელოვანია, რომ ნარჩენების შემცირების მიზნით არ გამოიყენოთ ერთჯერადი ქურჭელი. მრავალჯერადი ქურჭლის გამოყენების შემდგომ კი გაირეცხოს გარემოსთვის უსაფრთხო, ფოსფატისა და ქლორის შემცველობის არმქონე ქიმიური საშუალებებით. ოჯახის წევრებისთვის, თანამშრომლებისა და მომხმარებლებისთვის აუცილებელია მუდმივი შეხსენება მოუფრთხილდნენ ელექტროენერგიასა და წყალს, გამოიყენონ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. ამისთვის შესაძლებელია ონკანებსა და ელექტროენერგიის წყაროებთან გაიკრას მცირე ზომის გამაფრთხილებელი ნიშნები წარწერებით: გამორთეთ შუქი, დაკეტეთ ონკანი და ა.შ.

2.4. მარკეტინგი და გაყიდვები

მარკეტინგი არის ადამიანური ძალისხმევის სახეობა, რომელიც მიმართულია გამოავლინოს და გაცვლის გზით დააკმაყოფილოს ადამიანთა საჭიროებები და მოთხოვნილებები. მარკეტინგის კომპლექსის ძირითადი ინსტრუმენტებია: პროდუქტი, ადგილი, ბაზარზე წარმოჩენა და ფასი, რომელიც 4P-ს სახელით არის ცნობილი. ამ ინსტრუმენტების საშუალებით ხდება ერთიანი მარკეტინგული სტრატეგიის ჩამოყალიბება, რაც საწარმოს ბაზარზე შესვლას, პოზიციების შენარჩუნებასა და ცვლილებებზე სწრაფ რეაგირებას უზრუნველყოფს. მარკეტინგული მიქსის ელემენტებია:

პროდუქტი (Product) - ფიზიკური საქონელი, მომსახურება, ხარისხი, გარანტია, ინსტრუქციები, შეფუთვა, მარკირება.

ფასი (Price) - მიზნები, მოქნილობა, ფასდაკლებები, ერთგულების ბონუსები, საფასო შეღავათები, კონკურენტების ფასები.

ადგილი (Place) - მიზნები, არხის სახეობა, შუამავლები, გადაზიდვა, სადისტრიბუციო მომსახურება, არხის მართვა.

ბაზარზე წარმოჩენა (Promotion) - პერსონალური გაყიდვები, მასიური გაყიდვები, გაყიდვების დაწინაურება, გაყიდვების პერსონალი, სარეკლამო კამპანია.

ბაზარზე პოზიტიურად წარმოჩენისათვის საჭიროა კარგად დაიგეგმოს რომელი სამიზნე ჯგუფისთვის რა სახის საინფორმაციო საშუალება იყოს გამოყენებული.

2.4.1. ცუხისცული ბაზრის სეგმენტაცია, მიზნობრივი სეგმენტების განსაზღვრა და ბაზრებზე ეკოცუხისცული პოლექტის პოზიციონირება

სამოგზაურო-ტურისტული ბაზარი სწრაფად მზარდია და გამოირჩევა კონკურენციის მაღალი დონით. ასეთ ბაზარზე ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ახალიდასაინტერესოშეთავაზებებიასრულებს. ტურისტულმომსახურებათა ბაზარი - ეს არის შთაბეჭდილებების, ემოციებისა და კმაყოფილების ბაზარი. შესაბამისად, შეუზღუდავია ამ ბაზარზე სეგმენტების რაოდენობა. ტურისტების ზოგადი დაყოფა ანუ სეგმენტაცია სხვადასხვა ნიშნის

მიხედვით და გარკვეული სეგმენტის მოთხოვნების დადგენა მიზნობრივი აუდიტორიის სწორად განსაზღვრის უმთავრესი წინაპირობაა. ძირითადად გამოყოფენ სეგმენტაციას გეოგრაფიული, სოციალურ-დემოგრაფიული, ქცევითი და ფსიქოლოგიური მახასიათებლების მიხედვით. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

გეოგრაფიული ნიშნები. ტურისტული ბაზრის ჯგუფებად დაყოფა, როგორც წესი, გეოგრაფიული სეგმენტირებიდან იწყება. თუმცა სამიზნე აუდიტორიის შერჩევის გზაზე ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია, რომლის შემდგომ ხორციელდება ჯგუფის უფრო მცირე სეგმენტებად დაყოფა სხვა კრიტერიუმების მიხედვით. საწყის ეტაპზე ტურისტული ბაზარი იყოფა ტურიზმის სახეობის - შემომყვანი/გამყვანი, ეროვნული, რეგიონული/საქალაქო და პოლიტიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მიხედვით. ერთი წარმომავლობის რეგიონის ან ქვეყნის ჯგუფებში (მაგ. დასავლეთ ევროპა, ახლო აღმოსავლეთი) გაერთიანებულ ტურისტებს ქცევის გარკვეული სტერეოტიპი ახასიათებს და მათ განსაკუთრებული მიდგომა სჭირდებათ.

სოციალურ-დემოგრაფიული ნიშნები. ტურისტული ბაზრის სოციალურ-დემოგრაფიული სეგმენტირება ამარტივებს მოგზაურთა მოთხოვნების დადგენისა და შესაბამისი პროდუქტის შექმნის პროცესს. აღნიშნული მიზნის მიღწევა შესაძლებელია სეგმენტაციის შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით: შემოსავლების დონე, ოჯახური მდგომარეობა, ასაკი, პროფესიული სტატუსი შემოსავლებიდან გამომდინარე (დაბალი, საშუალო და მაღალი შემოსავლები) ტურისტი ირჩევს მისთვის ხელმისაწვდომ მომსახურებებს, წყვეტს მიიღოს დამატებითი მომსახურება თუ დაკმაყოფილდეს მინიმალური მოთხოვნილებით. ოჯახური მდგომარეობის და ასაკის მიხედვით მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია დამსვენებელთა ჯგუფს 5 კატეგორიად ყოფს: ბავშვები (0-14 წელი), ინდივიდუალურად მოგზაური ახალგაზრდები (15-24 წელი), ახალგაზრდა ოჯახური წყვილები შვილებით (25-44 წელი), ეკონომიკურად აქტიური აუდიტორია (45-64 წელი), საპენსიო ასაკის დამსვენებლები (65 წელზე მეტი). თითოეული ჯგუფის შესაძლებლობები და მოთხოვნები განსხვავებულია. ბავშვები ძირითადად მშობლებთან ერთად მოგზაურობენ და არ აქვთ საკუთარი შემოსავალი.

ახალგაზრდები შეზღუდული ბიუჯეტის გამო არ სარგებლობენ სხვადასხვა დამატებითი მომსახურებებით. დაოჯახებულ დამსვენებელთა ქცევა ძირითადად შვილების ინტერესთა ზეგავლენით ყალიბდება. ამასთან ეკონომიკურად აქტიურ ასაკობრივ ჯგუფს მაღალი შემოსავლები კომფორტის მოთხოვნილებას უღვივებს. უფროსი ასაკის ადამიანების უმრავლესობა კი თავისუფალი დროის დიდ ნაწილს ჯანმრთელობის აღდგენასა და მეტი შთაბეჭდილებების მიღებაზე ხარჯავს.

პროფესიული სტატუსის და დაკავებული თანამდებობის მიხედვით განსხვავებული ქცევა ახასიათებს დამსვენებელთა ჯგუფს. ტურისტულ ბიზნესში გამოყოფენ ძირითად სეგმენტებს: უმუშევრები (მათ შორის სტუდენტები), ოფისის თანამშრომლები, საჯარო მოხელეები, საშუალო რგოლის მმართველები და ბიზნესის მფლობელები.

ქცევითი ნიშნები. სეგმენტაციის ქცევითი კრიტერიუმები ძირითადად ასახავს მოგზაურთა მოტივს აირჩიოს ესა თუ ის მიმართულება. დამსვენებელთა ბაზრის სეგმენტაციის 5 ძირითად მოდელს გამოყოფენ: მოგზაურობის მიზანი, მიჯაჭვულობა საკურორტო ადგილებთან, მოგზაურობის სიხშირე, სასურველი სარგებელი და სასურველი ტრანსპორტი.

ცხრილი 02. დამსვენებელთა ჯგუფის კატეგორიები

მოგზაურობის მიზანი	დასვენება/გართობა/საქმიანი ვიზიტი
სასურველი სარგებელი	ჩვეულ გარემოს მოშორება, ახალი ადამიანების გაცნობა, საკუთარი თავის გამოცდა, დაბალი ფიზიკური აქტიურობის დონის კომპენსირება, სხვა ქვეყნების კულტურის და ბუნების შემეცნება.
მიჯაჭვულობა საკურორტო ადგილებთან	ზღვის კურორტებზე დასვენების მოყვარულები (თურქეთი, ეგვიპტე) სამთო კურორტებზე დასვენების მოყვარულები.

სასურველი ტრანსპორტი	ავიატრანსპორტი, რკინიგზა, ავტოტრანსპორტი, გემი (კრუიზი) და სხვა გადაადგილების საშუალებები (ველოსიპედი).
მოგზაურობის სიხშირე	წელიწადში ერთხელ, წელიწადში 1-3ჯერ, წელიწადში 3-ზე მეტჯერ.

მოგზაურთა ჯგუფის ამ მიმართულებით დაყოფა ნათელს ხდის ეკოტურისტული პროდუქტის მომხმარებელთა სავარაუდო სეგმენტს. ეს ადამიანთა ის კატეგორიაა, რომელსაც ჩამოყალიბებული აქვს მოგზაურობის მიზანი და გარკვეული სარგებლის (სხვა ქვეყნის კულტურის და ბუნების შემეცნება) მისაღებად მოგზაურობს ამა თუ იმ ქვეყანაში.

ფსიქოლოგიური ნიშნები. ფსიქოლოგიური კრიტერიუმებით ბაზრის სეგმენტირებას შეუძლია ახსნას მომხმარებელთა შინაგანი მოტივაცია, რაც ასაბუთებს მოგზაურობათა ძირითად მოტივებს. ბაზრის ასეთ ჯგუფებად დაყოფა ნაყოფიერია თუ სეგმენტირება ზემოთ მოყვანილი სხვა ნიშნების (დემოგრაფიული, ქცევითი) მიხედვითაც ხდება. ფსიქოლოგიური ნიშნის მიხედვით გამოყოფენ შემდეგი კატეგორიის ტურისტებს ეკოტურიზმის კუთხით შესაბამისი სეგმენტის შერჩევისას ფსიქოლოგიურ ნიშნებთან ერთად გასათვალისწინებელია მოგზაურთა სხვა ნიშნით დაყოფის მოდელებიც. ეკოტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციის დაკვეთით გამოიკვლიეს ეკოტურისტის მარკეტინგული პროფილი, რის შედეგადაც მიიღეს შემდეგი მონაცემები:

- ასაკი - 35-54 წელი, რა თქმა უნდა, არსებობს სხვადასხვა გადახრა საშუალო მაჩვენებლიდან;
- მომხმარებლის სქესობრივი სტრუქტურა - 50% ქალები, 50% კაცები;
- განათლება - მინიმუმ კოლეჯი;
- მოგზაურობისთვის მისაღები თანასაზოგადოება - 60% მოგზაურობს წყვილად, 15% ოჯახთან, 13% მარტო;
- ტურის სასურველი ხანგრძლივობა - 8-14 დღე;

- მოგზაურობაში ფულის დახარჯვის სურვილი - აღნიშნულია, რომ ეკოტურისტები მზად არიან საშუალოდ დახარჯონ 1000-1500 \$ (უფრო მეტი ვიდრე ჩვეულებრივი ტურისტი);
- ტურის მომხიბვლელობის თავისებურება - ველური ბუნება; ცოცხალი ბუნების შესწავლა, ფეხით სიარული, კულტურის შესწავლა, ადგილობრივი მოსახლეობის ისტორია.

ნებისმიერ სახის ტურისტული პროდუქტის დაგეგმვისას აუცილებელია დამსვენებელთა ბაზრის წინასწარი მოკვლევა, გარკვეულ პროდუქტზე სეგმენტის მისადაგებად ამოღო დამის შემდგომ მომზადებული პროდუქტის ტურისტულ ბაზარზე პოზიციონირება. მარკეტინგული თვალსაზრისით საქონლის ბაზარზე პოზიციონირება გულისხმობს მის განსაკუთრებულ, სხვებისგან განსხვავებული პოზიციის უზრუნველყოფას მომხმარებლის ცნობიერებაში. სხვადასხვა ქმედებით მწარმოებელი საკუთარი პროდუქტის სასარგებლო თვისებებს აღწერს და იმის დამტკიცებასაც ახერხებს, თუ რატომ უნდა შეიძინოს ის მომხმარებელმა. პოზიციონირება მიმართულია ტურისტული პროდუქტის ისეთი იმიჯის შექმნაზე, რომელიც პირველ რიგში გამორჩეული იქნება მაღალი კონკურენტუნარიანობით. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ტურისტული პროდუქტის პოზიცია ბაზრის ერთ სეგმენტზე შესაძლოა განსხვავებულად აღიქმედობეს სხვა სეგმენტის მიერ. ტურისტული მომსახურების მიმწოდებელმა შეიძლება გამოიყენოს პოზიციონირების რამდენიმე ალტერნატიული მიდგომა:

- პოზიციონირება სპეციფიური მახასიათებლების მიხედვით (მაგ. ავთენტური საცხოვრებელი);
- პოზიციონირება მომხმარებელთა სარგებლის ან მოთხოვნილებების მიხედვით, რომელთაც დააკმაყოფილებს ტურისტული პროდუქტი;
- მომხმარებელზე ორიენტირებული პოზიციონირება, რაც გულისხმობს მომხმარებელთა გარკვეული ჯგუფისთვის ოპტიმალური პროდუქტის გამოყოფას;
- პოზიციონირება ფასის/ხარისხის თანაფარდობის მიხედვით;
- პოზიციონირება კონკურენტის მიხედვით.

მრავალი სპეციალისტის აზრით, საწარმომ თავისი ძალისხმევით ყურადღება უნდა გაამახვილოს პროდუქტის ერთ განმასხვავებელ მახასია-

თებელზე, რომელთა შორის გამოყოფენ ყველაზე მთავარს - „საუკეთესო ხარისხი“, „საუკეთესო მომსახურება“, „ყველაზე მაღალი ფასეულობა“. ამ მახასიათებლიდან ერთ-ერთის მიღწევისა და შენარჩუნების შემთხვევაში, ტურისტული პროდუქტი იძენს კარგ რეპუტაციას, რომელიც მომხმარებელთა ცნობიერებაში ასოცირდება აღნიშნულ პოზიციასთან. ეკოტურისტული პროდუქტის დაგეგმვის პროცესში სხვადასხვა ტურისტული რესურსის კვლევის და მასზე დაფუძნებული განსხვავებული მომსახურებების შესაბამის სეგმენტზე მისადაგებას მოსდევს პოზიციონირების სქემის შემუშავების ეტაპი. აღნიშნული ციკლის გავლის შემდგომ მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ხორციელდება ეკოტურისტული პროდუქტის შექმნა.

2.4.2. მაჩვენებელი კომუნიკაციები

მარკეტინგული კომუნიკაციები შეიძლება იყოს ინსტიტუციური, მარკეტინგული და დიალოგის ფორმატში (Bruhn 2005, S. 400). ხსენებული სამი ტიპის კომუნიკაციიდან უნდა შევჯერდეთ მცირე და მიკრო ბიზნესისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელ ფორმაზე. ინსტიტუციური კომუნიკაციიდან გამოირჩევა მედიასთან და საზოგადოებათან ურთიერთობის ღონისძიებები. მაგალითად, ადგილობრივ და რეგიონულ ტელევიზიაში საოჯახო სასტუმროს შესახებ სიუჟეტების გაშუქება ან ადგილობრივ დღესასწაულებზე/ღონისძიებებზე აგრომეურნეობის სტენდით გამოსვლა; ან საოჯახო სასტუმროს გაცნობითი ტურის მოწყობა მედიის წარმომადგენლებისთვისა და ტუროპერატორებისთვის.

მარკეტინგული კომუნიკაციები მოიცავს მედიისა და მულტიმედიურ კომუნიკაციებს. მედიის საშუალებებს შორის გამოყოფენ ბეჭდვით მედიას, მაგ. გაზეთი, ჟურნალი; სამაუწყებლო მედიაში განიხილება რადიო, ტელევიზია; დისპლეი მედიას განეკუთვნება გარე რეკლამის საშუალებები, როგორებიცაა: ბილბორდი, ლაითბოქსი, პოსტერი (პლაკატი). მულტიმედიურ კომუნიკაციებში იგულისხმება შეუზღუდავი ურთიერთობა მომხმარებელთან ინტერნეტ სივრცის საშუალებით, მაგალითად: მიზნობრივად ინფორმაციის გავრცელებისთვის ელფოსტის გამოყენება, სიახლეების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა სოციალური ქსელების, ვებგვერდისა და ბლოგების საშუალებით.

დიალოგის ფორმატის კომუნიკაციები - ეს არის პირდაპირი კომუნიკაცია ვერბალური და არავერბალური გზით. მაგალითად, ესენია: გამოფენებში

მონაწილეობა, პრეზენტაციებისა და ღია კარის დღეების მოწყობა, საჯარო გამოსვლები.

- თქვენს ბიზნესს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სახელი. სასურველია ეს სახელი მარტივად გამოსათქმელი და დასამახსოვრებელი იყოს უცხოელისთვის. მნიშვნელოვანია ამ სახელის უკან იყოს ისტორია, რომელიც უშუალოდ ბიზნესს ან თქვენ გიკავშირდებათ. რომლის შეფუთვა და წარდგენა საინტერესო ფორმით უნდა იყოს შეთავაზებული ვიზიტორისთვის. ამასთან სასურველია საოჯახო სასტუმროს ჰქონდეს ლოგო და სლოგანი, რაც მისი მაიდენტიფიცირებელი და იმიჯის განსამტკიცებელი იქნება მიზნობრივ აუდიტორიაზე წარდგენისას.
- ნებისმიერ ეკოტურისტულ საწარმოს უნდა ჰქონდეს აბრა, რათა ტურისტმა შეძლოს ადვილად მიგნება;
- მაქსიმალურად გამოიყენეთ ინფორმაციის გავრცელების ყველა საშუალება: უახლოესი ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, პროფესიული მონაცემთა ბაზები, ინტერაქტიული რუკები (მათ შორის Google map);
- მიიღეთ მონაწილეობა ტურისტულ გამოფენებსა და ბაზრობებში, რაც მოგცემთ, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ტუროპერატორებთან დაკავშირების საშუალებას (გამოიყენეთ რეგიონული სტენდი დანახარჯების შემცირების მიზნით);
- გამოიყენეთ კომუნიკაციის ყველა საშუალება. დაგეგმეთ ინფორმაციის გავრცელების ყველა საშუალება, როგორც ბეჭდვითი, ისე საშუალო მედიიდან, რათა მომზადდეს სიუჟეტები, დაინეროს სტატიები დესტინაციის და თქვენი საწარმოს შესახებ. მოგზაური ჟურნალისტების მასპინძლობა საშუალებას მოგცემთ უფასოდ გააშუქოთ ინფორმაცია;
- გააკეთეთ აქცენტი საწარმოს უნიკალურ შეთავაზებაზე, რითაც ის განსხვავდება სხვა ეკოტურისტული მომსახურების მიმწოდებლისგან. ეს შეიძლება იყოს: განსაკუთრებული ადგილმდებარეობა, სიახლოვე ტურისტულ ატრაქციებთან ან განსხვავებული მომსახურების შეთავაზება;
- არასეზონურ პერიოდში შესთავაზეთ ფასდაკლებები, შეღავათები, დამატებითი აქტივობები ტურისტებს, მაგ. დამატებითი ღამისთევა უფასოდ, გვიანი გაწერა და ა.შ, რითაც შესაძლებელია მიზნობრივი ჯგუფების ინტერესის გაზრდა;

- დაუკავშირდით შუამავალ ორგანიზაციებს (ტურისტული კომპანიები, კომერციული საიტები). თუ გადაწყვეტთ, რომ გსურთ თქვენი მომხმარებლები ორგანიზებული ტურისტები, ანუ ის ტურისტები იყვნენ რომლებიც დაგეგმილი ტურით შემოდიან ქვეყანაში, მაშინ თქვენს შესახებ ინფორმაცია უნდა მიაწოდოთ ტურისტულ კომპანიებს. შეგიძლიათ ელ-ფოსტით გადაუგზავნოთ პრეზენტაცია თქვენი ობიექტის შესახებ, ან შეხვდეთ პირადად. შესაძლებელია ასევე (თუ ამის რესურსი გექნებათ) მოიწვიოთ რამოდენიმე მათგანი და უფასოდ შესთავაზოთ თქვენი ყველა მომსახურება. რაც შეეხება კომერციულ საიტებს (მაგ.: booking.com) იღებენ საშუაშუალო სარგებელს 15-18 % ნომრის ღირებულებიდან. აუცილებელია ყოველი შეკვეთის შემდეგ დაუყოვნებლივ გასცეთ პასუხი და დაადასტუროთ შეკვეთის მიღება, რაც სანდოობას და დადებით შთაბეჭდილებას იწვევს ტურისტებში ურთიერთობის დაწყების პირველი ეტაპიდანვე.

2.5. ფასწარმოქმნის პოლიტიკა

ფასი არის ღირებულების ფულადი გამოხატულება. თანხა, რომელსაც მომხმარებელი იხდის საქონლის, მომსახურების შეძენის ან გამოყენების სანაცვლოდ.

ეკოტურისტული პროდუქტის ფასი ასახავს მისი მომხმარებლის წარმოდგენას, თუ რამდენად არის მნიშვნელოვანი ისეთი ტურისტული პროდუქტი, რომლის შემადგენელი ნაწილებია: ველური ბუნება, კარგი მომსახურება და ადგილობრივი წარმოება. ფასი, რომელიც ,თავის მხრივ, ხელს უწყობს პროდუქტის ბაზარზე დამკვიდრებას, მარკეტინგული მიქსის (4P – Product, Place, Price, Promotion) ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. ფასის სწორი პოლიტიკის განსაზღვრით შესაძლებელია ბაზარზე თავის დამკვიდრება და მოგების გაზრდა.

ხშირ შემთხვევაში საქართველოს რეგიონებში ეკოტურისტული საქმიანობის ფასგათვლა ხდება ორი ფაქტორის გათვალისწინებით:

1. ანალოგიური მომსახურეობის მქონე საწარმოს პროდუქტის ფასზე ორიენტირებით;
2. იმ ფაქტორის გათვალისწინებით, თუ რამდენად უღირს მიმწოდებელს შესაბამისი მომსახურება.

ორივე ზემოაღნიშნული შემთხვევა არის უშუალოდ პროდუქტის შექმნის პროცესში წარმოქმნილი ხარჯების გაუთვალისწინებლობა, რაც, სამწუხაროდ, უმეტესად საწარმოს ან მომსახურების სამომხმარებლო ბაზრიდან გასვლით სრულდება.

პროდუქტის შესაბამისი ფასის დასადგენად აუცილებელია თვითღირებულების გამოთვლის შემდგომ, ფასის დადებამდე (ანუ ფასნამატის - მწარმოებლის მოგების) გასათვალისწინებელია სახელმწიფოს მიმართ ვალდებულებები და კომერციული საქმიანობის წარმართვასთან დაკავშირებული საკითხები მათ შორის კაპიტალდაბანდება ბიზნესის საწყის ეტაპზე.

ეკოტურისტული პროდუქტის თვითღირებულების დაანგარიშება. ნებისმიერი საქმიანობის განხორციელებისას, პროდუქტის ან მომსახურების თვითღირებულების გამოთვლისთვის, აუცილებელია პროდუქტის შექმნაზე დახარჯული მატერიალური თუ არამატერიალური რესურსების შეფასება. სამწუხაროდ, თვითღირებულების დათვლის დროს, როდესაც მეწარმე თავად ქმნის პროდუქტს, ხშირად უგულებელყოფილია ისეთი კომპონენტები, როგორებიც არის საკუთარი დრო და შრომა.

ფასწარმოქმნის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმულაა:
 პირდაპირ ხარჯები + ზედნადები ხარჯები + მეწარმის მოგება = ფასს

ასევე საჭიროა დანახარჯების ორ ტიპად დაყოფა, კერძოდ დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ წარმოებულ პროდუქტს მიეკუთვნება და ის დანახარჯები, რომლებიც ზოგადად წარმოებისთვის არის საჭირო (ანუ პირდაპირი და ირიბი დანახარჯები).

ცხრილი 03. საოჯახო სასტუმროს პირდაპირი და ირიბი ხარჯები

ხარჯები (საოჯახო სასტუმროს მაგალითზე)	
პირდაპირი	ირიბი
ადამიანური რესურსი, მუშახელი (დამლაგებელი, მზარეული)	ავექის ცვეთა
უშუალოდ პროდუქციისთვის წარმოქმნილი გადასახადები მაგ. დღგ.	მარკეტინგული ხარჯები (მაგ. ბეჭდური მასალა, სავიზიტო ბარათები)

კვების ორგანიზება (შეძენა, მომზადება, გამასპინძლება)	პროფესიული გაერთიანებების წევრობა
ენერგო რესურსები (წყალი, ელექტროენერგია, გაზი)	პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება
	ქონების გადასახადი

მუშაობის დაწყებამდე მენარმემ უნდა შეადგინოს კალკულაცია, თუ კონკრეტულად რამდენი დანახარჯი ექნება თავისი შენობის სასტუმროდ მოწყობაზე (გარეგნული იერსახე, გათბობა, სათანადო სერვისი და სხვა).

ტურისტული პროდუქტის მწარმოებლებმა სასურველია შეძლონ ფასების რანჟირება მომსახურების შეთავაზებისას სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფზე. ასევე სასურველია გაითვალისწინონ ეკოტურისტული პროდუქტის სეზონურობა, რაც მკვეთრად აისახება მოთხოვნაზე.

- ოფიციალური ანუ მიმდინარე ფასები (official rates/Rack rates)
- ჯგუფის ფასები (Group rates/Corporate rates) - ხელშეკრულების საფუძველზე ორგანიზაციებისთვის (მაგ: ტურისტული კომპანიებისთვის) შეთავაზებული განსხვავებული ფასები;
- პაკეტის ფასები (Package rates) - ასეთი შეთავაზებები კეთდება ძირითადად პრომოციის კამპანიების დროს ტურისტების მისაზიდად;
- ფასები ოჯახებისთვის (Family rates) - შეთავაზებები ოჯახებისთვის. ბავშვები გარკვეულ ასაკამდე შეიძლება განათავსონ მშობლებთან ერთად და ამაზე დამატებითი საფასური არ გადაახდებიან. ასეთი შეთავაზებები არის სეზონური და გაყიდვების წამახალისებელი;
- ფასები დასვენების დღეებზე (Weekend rates) - მასტიმულირებელი ფასი შაბათ-კვირის დღეებზე, ფასდაკლება მინიმალურია;
- ნახევარი დღის ფასი (Day Use Rate/ Half-day rate) - ოთახის გამოყენება დღის განმავლობაში ნახევარ ფასად;
- Complimentary rate (comp) როცა სტუმარი არ იხდის ნომრის საფასურს. მოქმედებს ინფოტურების დროს, როდესაც ნომრის საფასურს არ ახდენენ ტურისტული კომპანიის წარმომადგენლებს.

3. დანართები

დანართი 01.ინფორმაცია სარეგისტრაციო ბარათისთვის

რეგისტრაციის ბარათი	
საოჯახო სასტუმროს დასახელება, ლოგო (არსებობის შემთხვევაში)	
სტუმრის სახელი, გვარი	
ქვეყანა	
პირადი ნომერი	
საცხოვრებელი მისამართი	
საკონტაქტო ტელ.	
ჩამოსვლის თარიღი	
გამგზავრების თარიღი	
გასათევი ღამეების რაოდენობა	
ოთახის ტიპი	
გადახდის მეთოდი	
მომსახურების სახეობა	
ხელმოწერა	

დანართი 02. საოჯახო სასტუმროს წესები



Welcome your stay at Guest House "Name"

დანართი 03 ინდივიდუალური საკანალიზაციო სისტემა

საქართველოს მთიან რეგიონებში, სადაც არ არსებობს ცენტრალიზებული საკანალიზაციო სისტემა, ტურისტული მომსახურების მომწოდებლების (განთავსების, კვების ობიექტები) მხრიდან მნიშვნელოვანია გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების კუთხით ინდივიდუალური საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება/მოწყობა.

ინდივიდუალური საკანალიზაციო სისტემის რამდენიმე ვარიანტი არსებობს, რომელთა ევოლუცია მოიცავს ამოთხრილ ორომოებს, სეპტიკურ ავზებს და ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებს.

ინდივიდუალური ორმოების მოწყობა რეკომენდებულია რთული გეოგრაფიული პირობების არსებობის შემთხვევაში, სადაც სეპტიკური ავზების და გამწმენდი ნაგებობების მოწყობა მნიშვნელოვან დანახარჯებთან არის დაკავშირებული, რაც გამოწვეულია მასალების ტრანსპორტირებით, მუშა ხელის დაქირავებით და სხვა ფაქტორებით. საპირფარეშოების ორმოებზე მოწყობის პრაქტიკა საქართველოს რეალობაში არსებობს სხვადასხვა დაცულ ტერიტორიაზეც, სადაც ტურისტული თავშესაფრების მიმდებარედ არსებული საპირფარეშოები ანალოგიური პრინციპით არის მოწყობილი. აღნიშნულ შემთხვევაში გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას გარკვეული ნიუანსები, კერძოდ:

- ტუალეტის ორმოს მოწყობა მიზანშეწონილია იქ სადაც გრუნტის წყლები ღრმად არის განლაგებული მიწის ქვეშ;
- არ უნდა მდებარეობდეს წყლის ობიექტთან ახლოს, ან ჩადაბლებულ ადგილას;
- საპირფარეშო უახლოესი წყლის ობიექტიდან დაცილებული უნდა იყოს მინიმუმ 100 მეტრით;

ორმოს გაკეთების ადგილის შესარჩევად აუცილებელია ასევე გავითვალისწინოთ ადგილობრივი ქარების მიმართულება, რათა დისკომფორტი არ შევუქმნათ ტურისტებს.


აკრძალულია გამოყენებული ქაღალდის დანვა, იგი უნდა ქნას დამარხული ან ტრანსპორტირებული სანაგვე ურნამდე.

მსხვილი მასშტაბის ორმების გაკეთებისას რეკომენდებულია, რომ მისი კედლები დაფარული იყოს ბეტონით, ხოლო ფსკერი ქვიშის და ხრეშის შემცველი ფენით რათა თავიდან იქნას აცილებული ნიადაგში მყარი ნაწილაკების მოხვედრა.

ინდივიდუალური საკანალიზაციო სისტემის კიდევ ერთი ვარიანტი **სეპტიკური ავზია**, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს რეგიონებში, სადაც ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა მოშორებით ან სულაც არ არის გაყვანილი. აღნიშნული სისტემის მიზანს წარმოადგენს ჩამდინარე წყლების გაფილტვრა და ნიადაგისთვის, გარემოსთვის ზიანის თავიდან აცილება. ყველაზე მარტივი კონსტრუქცია შესაძლებელია ნებისმიერმა პირმა დაამზადოს და გაითვალისწინოს ძირითადი მოთხოვნები: სეპტიკური ავზის ზომა, მდებარეობა, სქემა და მუშაობის პრინციპი.

სეპტიკური ავზის ზომა. ხელნაკეთი და ქარხნული სეპტიკების ზომების გათვლამდე გასათვალისწინებელია ჩამონადენის საშუალო რაოდენობა, რომელიც წარმოიქმნება საწარმოზე ჩვეულებრივი ფუნქციონირების დროს 3 დღის განმავლობაში. ერთი ადამიანი საშუალოდ დღელამეში 200 ლიტრ ჩამონადენს წარმოქმნის, შესაბამისად, ინდივიდუალური საკანალიზაციო სისტემის იდეალურად მოწყობის შემთხვევაში ავზის მოცულობა უნდა შეადგენდეს 600 ლიტრს ერთი ადამიანისთვის. ჩამონადენის გამოთვლა შესაძლებელია წყლის მრიცხველის მონაცემების გამოყენებით.

სეპტიკური ავზის სქემა და მუშაობის პრინციპი. ავზის საკუთარი ხელით დამზადებამდე მნიშვნელოვანია სქემის მონახაზის გაკეთება (იხ. სეპტიკური ავზის სქემა, სურათი 1)



სურათი 1: ინდივიდუალური საკანალიზაციო სისტემის სქემა

სქემაზე ნათლად არის ასახული სეპტიკური ავზის მოწყობის პრინციპი. შესაბამისად, ინდივიდუალური საკანალიზაციო სისტემა შედგება თვითონ პერმეტული სეპტიკური ავზისგან, რომელიც შესაძლებელია დამზადდეს ბეტონის რგოლებისგან, 2 ან 3 კამერიანი (ნარჩენების უკეთესი დალექვისთვის), სადაც დაილექება წყალში არახსნადი ნარჩენი და ფილტრაციის ველისგან, სადაც შედარებით სუფთა წყალი გაწმენდის შემდგომ ეტაპს გადის.

სეპტიკური ავზის მდებარეობა. სეპტიკური ავზის ადგილმდებარეობის შერჩევისას გასათვალისწინებელია ტერიტორიის სიახლოვეს ქების/ჭაბურღილების არსებობა და გრუნტის წყლის დონე. ავზის პერმეტულობის შემთხვევაში საკმარისია მისი სახლიდან დაშორება მხოლოდ 5 მეტრით. უფრო მკაცრი მოთხოვნებია ფილტრაციის ველის მოწყობისას - მანძილია წყალსაცავამდე უნდა აღემატებოდეს 100 მ-ს, ხოლო წყლის მიწოდების წყარომდე 50 მ-ს. ამასთან, ნიადაგის ჭარბტენიანობის მატებამ შესაძლებელია დააზიანოს სახლის საძირკველი, ამიტომ იგი საკმაოდ მოშორებული უნდა იყოს საცხოვრებელ ნაგებობებს.

ინდივიდუალური საკანალიზაციო სისტემის მოწყობისას ყველა სხვა მოთხოვნასთან ერთად გასათვალისწინებელია დანახარჯი მიწების გაყვანილობაზე, ამასთან შემცირებულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევის რისკები მათი ექსპლუატაციის შემთხვევაში.

საკანალიზაციო სისტემის მოწყობისას უმთავრესად გასათვალისწინებელია, რომ თავიდან იქნას აცილებული სისტემის გაჭედვა და უსიამოვნო სუნი.

მიწების შერჩევისას გასათვალისწინებელია მათი დიამეტრი, რათა თავისუფლად მოხდეს არა მხოლოდ სითხეების, არამედ მყარი ნაწილაკების გატარება. საკანალიზაციო მიწების ოპტიმალური დიამეტრი სისტემასთან დაკავშირებული სანიტარული ტექნიკის რაოდენობაზე და სახეობაზეა დამოკიდებული.

გასათვალისწინებელია, რომ მიწები, რომლებიც ხვდება ღია სივრცეში დაცული უნდა იყოს გაყინვისა და გადახურებისაგან. ამიტომ ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელია მათი თერმო იზოლაციური მასალით დაფარვა.

ადგილობრივი გამყოლი არის ფეხით/ცხენით მოგზაურთა გზის მაჩვენებელი, შესაბამისად იგი კარგად უნდა იცნობდეს იმ ადგილებს, სადაც ტურისტებს უძღვება წინ, ვინაიდან მას დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც გამყოლს, ხელმძღვანელს მარშუტზე გადაადგილებისას. მისი უშუალო მოვალეობაა მეგზურობა გაუწიოს ტურისტებს საქართველოს და/ან კონკრეტული მთიანი რეგიონის მასშტაბით, საქართველოს რეკრეაციულ ზონებსა და ტურისტებისათვის საინტერესოდ მიჩნეულ სხვა ობიექტებში. იგი უზრუნველყოფს ტურის მომზადებას, ჯგუფის უსაფრთხოებას, დაგეგმილი მომსახურების ხარისხის კონტროლს და პასუხისმგებელია მისი დაგეგმვისა და განხორციელების ყველა ეტაპზე. გიდმა უნდა იცოდეს და გაცნობიერებული ჰქონდეს სათავგადასავლო ტურიზმის სფეროსათვის დამახასიათებელი პროცესები, ზოგადი პრინციპები და კონცეფციები. მნიშვნელოვანი თვისებები. გამყოლი უნდა იყოს ერუდირებული და კომუნიკაბელური ადამიანი, უნდა შეეძლოს და უყვარდეს საუბარი. მისთვის აუცილებელია კარგი მეხსიერება, სწრაფვა ცოდნის გაღმავებისკენ, მაღალი პასუხისმგებლობა. იგი უნდა იყოს განზონასწორებული და კეთილგანწყობილი, ყოველთვის მზად განსხვავებული ხასიათის ადამიანებთან ურთიერთობისათვის. უნდა იყოს ფიზიკურად კარგად მომზადებული, რადგან აქტიურ სეზონზე შესაძლოა მოუწიოს ტურისტთა მრავალ ჯგუფთან მუშაობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ეკო-ტურიზმის განვითარების ცენტრი, როგორ შევქმნათ ეკოტურისტული პროდუქტი, ზუგდიდი 2016;
- კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი - CENN, უსაფრთხოება ბუნებაში მოგზაურობისას თბ, 2015.

